# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრბოთის გაცანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


პარასკევი-კვირა, 16-18 სექტემბერი. 2022 წ. №145-146 (9483-9484) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი


# ომის ბოროტების წინააღმდეგ!..



## პატრიარქი ილია II:

## მსოფლიო საზოგადოებაში შიშს თესავს უკრაინაში განვითარებული საომარი მოქმედებები!..

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო ავრცელებს პატრიარქ ილია მეორის მისასალმებელ სიტყვას, რომელიც მსოფლიო და ტრადიციული რელიგიის ლიდერთა VII სხდომაზე წაიკითხეს. მსოფლიო და ტრადიციული რელიგიის ლიდერთა VII სხდომა ყაზახეთში, 13-14 სექტემბერს გაიმართა.

**თქვენო აღმატებულებავ, ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტო, ბატონო კასიმ-ჟომარტ ტოკაევ,**

**თქვენო აღმატებულებავ, ყაზახეთის რესპუბლიკის პარლამენტის სენატის თავმჯდომარევ, ბატონო მაულენ საგატხანული აშიმბაევ,**

**თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, ასტანისა და ყაზახეთის მიტროპოლიტო ალექსანდრე,**

**საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით გულითადად მივესალმები ყველა მონაწილეს ამ ყრილობისა, რომელიც განიხილავს მეტად მნიშვნელოვან საკითხს, — პოსტპანდემიურ პერიოდში მსოფლიო და ტრადიციულ რელიგიათა ლიდერების როლს კაცობრიობის სულიერ და სოციალურ განვითარებაში.**

**საყოველთაოდ ცნობილია, რომ სეკულარიზაციისა და აპოსტასიის ჩვენს დროში მრავალი პრობლემა დაგროვდა და ჭეშმარიტებისა და ზნეობის წინააღმდეგ ბრძოლამაც ახალი სიმწვავე შეიძინა.**

**სეკულარიზაციის მომხრეებმა წინ წამოწიეს მორალისაგან დაცლილი, ცრუ თავისუფლების იდეა და წამოაყენეს პრინციპი ყოველივეს დაშვებულობისა: რაც მსურს, — ბუნებრივია, შესაძლებელი და მისაღები.**

**ასეთი დამოკიდებულება განსაკუთრებულ საშიშროებას უქმნის მომავალ თაობას, უყალიბებს რა მათ ცრუ ორიენტირებს, ფსევდო ღირებულებებსა და ლოიალურ დამოკიდებულებას უმძიმესი ცოდვებისადმი, რასაც შედეგად მოჰყვება აღქმის დაკარგვა ჭეშმარიტი თავისუფლებისა და ცხოვრების ჭეშმარიტი აზრის შესახებ.**

**ყოველივე ამას დაემატა პანდემია, რომელმაც მასობრივი შიში დანერგა და ერთმანეთს დააშორა როგორც ქვეყნები, ისე ცალკეული პიროვნებები.**

**მსოფლიო საზოგადოებაში შიშს თესავს უკრაინაში განვითარებული საომარი მოქმედებები, რაც სერიოზული გამოწვევაა მთელი მსოფლიოსათვის.**

**საერთოდაც, განცდაა იმისა, რომ აღმოვჩნდით სიტუაციაში, სადაც არავინ იცის, რა იქნება ხვალ.**

**პოსტპანდემიური სიძნელეების დაძლევა, ომში დაზარალებულთა შესაძლებლობისამებრ დახმარება და ლოცვა მშვიდობისათვის, — ჩვენი მოვალეობაა. ამასთან, სასულიერო პირები შესაძლებლობისამებრ უნდა დაეხმარონ ადამიანებს სხვადასხვა განსაცდელისადმი შიშის დაძლევაში.**

**ჭეშმარიტი ღვთის რწმენა და მისი გზით სვლა ათავისუფლებს პიროვნებას, საზოგადოებას ყოველგვარი ფობიისგან და აღავსებს მათ გულებს მშვიდობით, გამბედაობით, ვაჟკაცობით, სიყვარულით, ერთგულებითა და სხვებისთვის ცხოვრების სურვილით.**

**ეს სულის ისეთი მდგომარეობაა, როდესაც შიშს აღარ ძალუძს დაგვძლიოს და დაარღვიოს ჩვენი შინაგანი სამყარო, ჩვენი სულიერი სიმშვიდე. ეს რეალობა უნდა იპოვოს ადამიანმა. ეს არის ჩვენი ცხოვრების მთავარი მიზანი! ვიმედოვნებთ, სხდომის მუშაობა ხელს შეუწყობს რელიგიათშორის დიალოგსა და მშვიდობას, რელიგიისა და კულტურის ურთიერთპატივისცემით თანაარსებობას და შექმნის პირობებს საერთო ძალისხმევით სულიერი ღირებულებების დაცვისთვის.**

**მადლობას ვუხდი ამ შეხვედრის ორგანიზატორებს და ყველას გისურვებთ წარმატებებს თქვენს ღვთივსათნო საქმიანობაში!**



## რომის პაპი:

## რელიგია ომის ბოროტების გასამართლებლად არ უნდა გამოიყენო!

რომის პაპ **ფრანცისკეს** განცხადებით, „არ შეიძლება, რელიგია ომის ბოროტების გასამართლებლად იყოს გამოყენებული“.

**„ღმერთი მშვიდობაა. ის ყოველთვის მიგვიძღვის მშვიდობის და არა ომის გზისკენ. თუ შემოქმედი, რომელსაც ჩვენ მივუძღვენით ჩვენი ცხოვრება, არის ადამიანის სიცოცხლის შემოქმედი, ჩვენ, ვინც საკუთარ თავებს მორწმუნეებს ვუწოდებთ, როგორ უნდა დავეთანხმოთ სიცოცხლის განადგურებას? ძალადობა არასოდეს არ უნდა გავამართლოთ. ნუ დავუშვებთ უვიცთა მიერ სიწმინდის გამოყენებას. სიწმინდე არასდროს არ უნდა იყოს ძალაუფლების საყრდენი“,** — თქვა პაპმა.

# HOMO PUTINUS

## როგორია „პუტინური ადამიანი“ და რა უნდა მას?

**ისტორიკოსი სერგეი მედვედევი იხსენებს ცნობილი რუსი სოციოლოგის, იური ლევადას დამკვიდრებულ ტერმინს – „ჩვეულებრივ საბჭოთა ადამიანს“ და კითხულობს, რაც ახლა რუსეთში ხდება – ომის მხარდაჭერა და ხელისუფლების გარშემო საზოგადოების კონსოლიდაცია, საბჭოთა ადამიანის გაგრძელებაა, თუ მართლაც რაღაც ახალი, 21-ე საუკუნეში ჩამოყალიბებული ანთროპოლოგიური ტიპის დაბადების მოწმე ვხდებით?**

რუსეთში ერთგვარი ანთროპოლოგიური რევოლუცია მიმდინარეობს, ჩნდება ადამიანის ახალი ტიპი – **HOMO PUTINUS** („პუტინური ადამიანი“), რომელიც გარეგნული ნიშნებით „განაწყენებული, გაბოროტებული და შურისმაძიებელია“, თუმცა ბოლომდე გარკვეული არ არის, ის „საბჭოთა ადამიანის“ (**HOMO SOVIETICUS**) მემკვიდრეა თუ რაღაც სრულიად ახალი სოციალური არსება. „რადიო თავისუფლების“ რუსული რედაქციის პოლიტიკური მიმომხილველი,




იხ. 8 გვ.


# მტერი ჩავარდა „ხალხის ძალის“ ყბაში!



**დღემდე არ წყდება უკრაინის ხელისუფლების მაღალჩინოსნების ღია მოწოდებები სამხედრო კონფლიქტში საქართველოს ჩართვასთან დაკავშირებით. „ნაციონალური მოძრაობის“ კუთვნილი ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერში უკრაინის რადას დეპუტატი აცხადებდა, დროა, ქართველმა ხალხმა აიძულოს საქართველოს ხელისუფლება, გადადგას კონკრეტული ნაბიჯები აფხაზეთისა და ცხინვალის დეოკუპაციისთვისო, — ამის შესახებ ნათქვამია საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალის“ წერილში.**

ამ განცხადებით, საქართველოს პარლამენტის წევრები — **სოზარ სუბარი, დიმიტრი ხუნდაძე, გურამ მაჭარაშვილი** და **მიხეილ ყაველაშვილი** მაკკეინის ინსტიტუტის აღმასრულებელ დირექტორთან, ეველინ ფარკასთან „რადიო თავისუფლების“ ინტერვიუს ეხმაურებიან.

**„უკრაინის ხელისუფლებაზე ამერიკელების გავლენა რამდენად ძლიერია, ალბათ, საზოგადოებას ძალიან კარგად ესმის. შესაბამისად, არც ის უნდა გაუკვირდეს, თუ რატომ ემთხვევა მაკკეინის ინსტიტუტის ხელმძღვანელისა და უკრაინელი პოლიტიკოსების გზავნილები ასე ზუსტად ერთმანეთს.**

**თუ საქართველოს ხელისუფლების ლიდერებს ომისკენ ადრე დახურულ კაბინეტებში მოუწოდებდნენ, ქალბატონი ფარკასი და უკრაინელი მაღალჩინოსნები ამგვარ მოწოდებებს ახლა უკვე საჯაროდ აკეთებენ. როდესაც ისინი საქართველოს ომისკენ საჯაროდ უბიძგებენ, ვფიქრობთ, ხელისუფლებას ამ მოწოდებებზე საჯარო პასუხის გაცემაც მოუწევს“,** — აღნიშნულია განცხადებაში.

## ურსულა ფონ დერ ლაიენი: ერთი გაკვეთილი უკრაინის ომიდან ის არის, რომ უნდა გვესმინა მათთვის, ვინც პუტინს იცნობს, ჩვენი მეგობრებისთვის უკრაინაში, მოლდოვასა და საქართველოში



ერთი გაკვეთილი უკრაინის ომიდან არის — ჩვენ უნდა გვესმინა მათთვის, ვინც პუტინს იცნობს. ანა პოლიტკოვსკაიასა და ყველა რუსი ჟურნალისტისთვის, რომლებმაც დანაშაულები გამოააშკარავეს და ამისთვის საფასური გადაიხადეს; ჩვენი მეგობრებისთვის უკრაინაში, მოლდოვასა და საქართველოში, ასევე ბელარუსის ოპოზიციისთვის, — განაცხადა ევროკომისიის პრეზიდენტმა, ურსულა ფონ დერ ლაიენმა ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლისას.

**„ჩვენ უნდა გვესმინა ხმებისთვის ჩვენი კავშირის შიგნით პოლონეთში, ბალტიისპირეთში, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. ისინი წლების განმავლობაში გვეუბნებოდნენ, რომ პუტინი არ გაჩერდება. ბალტიისპირეთში ჩვენმა მეგობრებმა ბევრი იშრომეს, რათა დაესრულებინათ რუსეთზე დამოკიდებულება. მათ დიდი ინვესტიციები ჩადეს განახლებად ენერგიებში, გათხევადებული ბუნებრივი აირის ტერმინალში. მათ ბევრი ფული დახარჯეს, მაგრამ რუსეთის ენერგორესურსებზე დამოკიდებულება უფრო ძვირია“,** — განაცხადა ურსულა ფონ დერ ლაიენმა.

## ურსულა ფონ დერ ლაიენი: მინდა, იცოდეთ - ჩვენი ოჯახის ნაწილი ხართ, ევროკავშირი თქვენ გარეშე არასრულფასოვანია

**„მინდა, რომ დასავლეთ ბალკანეთის, უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს მოსახლეობამ იცოდეს — ჩვენი ოჯახის ნაწილი ხართ, თქვენი მომავალი ჩვენს კავშირშია და ევროკავშირი თქვენ გარეშე არასრულფასოვანია“,** — აცხადებს ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი.

## შალვა პაპუაშვილი: არჩევნების ელექტრონულად ჩატარება ისტორიული გადაწყვეტილებაა



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე საქართველოში არჩევნების ელექტრონული მოწყობილობებით ჩატარების შესახებ ინიციატივას ისტორიულს უწოდებს და აღნიშნავს, რომ, ამ საკითხზე, ზოგიერთი ადამიანის განცხადებები საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ემსახურება.

**„საინტერესოა ზოგიერთი ოპოზიციური პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის რეაქცია. უცებ, ერთ დღეში, აღმოჩნდა, რომ თურმე, არავის აღარ აქვს პრობლემა „კარუსელებთან“, (ბიულეტენების) ჩაყრასთან და ა.შ. ზოგიერთი აქტორი 2020 წლიდან გვიმტკიცებს, რომ თითქოს, საარჩევნო უბნებზე გაყალბება ხდება და უცებ აღმოჩნდა, რომ საარჩევნო უბნები სულაც არ არის პრობლემა და თითქოს, პრობლემა სადღაც სხვაგანაა. სინამდვილეში, ვინც საქართველოში არჩევნების პროცედურების სათანადოდ წარმართვისა და გაიოლების გულშემატკივარია, დღეს ამ ინიციატივის გულმხურვალე მხარდამჭერი უნდა იყოს. ვინც ამ საკითხში ერკვევა, ყველა ხვდება, რომ ეს არის ისტორიული გადაწყვეტილება, რომ მოხდეს თითქმის სრულად გადასვლა ელექტრონულ რეგისტრაციასა და ელექტრონული მანქანების გამოყენებაზე. სამუშაო ჯგუფი მუშაობს ცვლილებებთან დაკავშირებით და იქაც, ამ კუთხით, ბევრი მნიშვნელოვანი ინიციატივა იქნება, რასაც საზოგადოება მალე იხილავს“,** — განაცხადა შალვა პაპუაშვილმა. შალვა პაპუაშვილი აღნიშნულ საკითხზე „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერის გიორგი ვაშაძის განცხადებასაც გამოეხმაურა.

**„დარწმუნებული ვარ, რომ „სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი პაატა მანჯგალაძე, ამ საკითხთან დაკავშირებით, სხვაგვარად ფიქრობს, მაგრამ ბატონი გიორგი ვაშაძისგან ისტერიული განცხადება მოვისმინეთ. მინდა, მივმართო ჩვენს ოპონენტებს: ელექტრონული მოწყობილობების გამოყენება ხდება არა მხოლოდ იმით, რომ ხდება რაღაცის ყიდვა, დადგმა და გამოყენება, არამედ ამას სჭირდება საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაც და ნდობის გამყარება. ნდობის შერყევა ძალიან ადვილია, მაგრამ ნდობის გამყარება რთულია. ამიტომ, ახლა ყველა პოლიტიკოსის ვალია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, კონსტრუქციული იყოს“,** — განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

## თეა წულუკიანი: ელექტრონული არჩევნების ინიციატივა სამუდამოდ დაასრულებს ცრუ რიტორიკას...



საქართველოს კულტურის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, ელექტრონული აპარატურის გამოყენებით ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და ხმის მიცემის წესის ფართოდ დანერგვასთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდის გადაწყვეტილებას მიესალმება.

**„ჩემივე პოლიტიკური გუნდისგან თუ ყოფილა ბოლო დროს რაიმე ინიციატივა, ხმამაღლა და გულწრფელად მინდა, ვთქვა, რომ ეს არის ის ინიციატივა, რომელიც სხვა ინიციატივებს შორის ყველაზე მეტად მახარებს და მივესალმები. ჯერ კიდევ იუსტიციის სამინისტროში მუშაობიდან დაწყებული, ყოველთვის ვამბობდით, რომ ჩვენ ვართ ის ქვეყანა, რომელიც არა მხოლოდ რეგიონში, არამედ ევროპის მასშტაბით ახალ ტექნოლოგიებში დაწინაურებულია, რომ ჩვენს სახელმწიფო უწყებებს აქვთ ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობა, თუ იქნება შესაბამისი სამართლებრივი უზრუნველყოფა და გატარდება საკანონმდებლო რეფორმა, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას შეძლებოდა ელექტრონული არჩევნების ჩატარება ჩვენს ქვეყანაში, რასაკვირველია, იმ ძალიან დიდი რისკის დაზღვევით, რისი უნარიც ასევე გვაქვს, რაც უკავშირდება ელექტრონული არჩევნების ჩატარებას ჯერ კიდევ ოკუპირებულ ქვეყანაში.**

**ერთხელ და სამუდამოდ ეს დაასრულებს იმ ცრუ რიტორიკას, რომელიც ეხება თითქოსდა არჩევნების არასათანადოდ ჩატარებას ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, კიდევ ერთხელ აჩვენებს ჩვენი ოპონენტების რეალურ სახეს, რომლებიც არჩევნები ერთია და რამდენჯერმე ცრუობენ ხოლმე, თითქოს ხალხის ნება სათანადოდ არ იქნა ასახული. ეს არის ძალიან დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი და მინდა, ჩვენს გუნდს პარლამენტში და საკანონმდებლო ორგანოს ამ რეფორმის გზაზე დიდი წარმატებები ვუსურვო“,** — აღნიშნა თეა წულუკიანმა.



## ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია არა მხოლოდ ახალგაზრდების, არამედ ყველა ასაკის ადამიანისთვის არის მნიშვნელოვანი

**თბილისის მერიაში დედაქალაქის მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა 14 სექტემბერს გაიმართა.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, თბილისის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და კოოპერატიული ბინათმშენებლობებით დაზარალებულ მოქალაქეებზე კიდევ ერთხელ ისაუბრა.

**„ძალიან მიხარია, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელება შევძელით. დაზარალებული მოქალაქეების ფართებით დაკმაყოფილება გრძელდება. რა თქმა უნდა, ეს პროგრამა მხოლოდ 27 ოჯახით არ შემოიფარგლება. 3 100 ოჯახია დაზარალებული და დღეის მდგომარეობით, 1 800-მდე ფართია გაცემული. რა თქმა უნდა, ყველა ოჯახს გვერდით დავუდგებით. ამ დროისთვის, 600 განაცხადია შემოსული კოოპერატიული ბინათმშენებლობებით დაზარალებულების მხრიდან და ეს 600 განაცხადიც დამუშავების პროცესშია. კიდევ ერთხელ მინდა, 27 ოჯახს მივულოცო. მეც მათთან ერთად მიხარია, რომ ამ პრობლემის მოგვარება შევძელით“,** — განაცხადა თბილისის მერმა.

გარდა ამისა, კახა კალაძემ აღნიშნა, რომ თბილისის მერია პროგრამის — „სპორტი უფროსი თაობისთვის“ ფარგლებში, 60 წელს გადაცილებული პირებისთვის საცურაო აუზებისა და ფიტნეს დარბაზების მომსახურებას დააფინანსებს. პროგრამა საპილოტეა და პირველ ეტაპზე, 2023 წლის პირველ იანვრამდე, ორ მუნიციპალურ სპორტულ ცენტრში განხორციელდება.

**„ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია არა მხოლოდ ახალგაზრდების, არამედ ყველა ასაკის ადამიანისთვის არის მნიშვნელოვანი. შესაბამისად, პროგრამა, რომელიც ჩვენ დავაანონსეთ, ითვალისწინებს, რომ თბილისში რეგისტრირებულ 60 წელს გადაცილებულ ადამიანებს ექნებათ შესაძლებლობა, მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული ინფრასტრუქტურა — საცურაო აუზები და ფიტნეს ზონები უფასოდ გამოიყენონ. პროგრამა, პირველ ეტაპზე, 2023 წლის პირველ იანვრამდე, საპილოტე რეჟიმში განხორციელდება ორ მუნიციპალურ სპორტულ ცენტრში — ნაძალადევის კომპლექსურ სპორტულ ცენტრში და გლდანის სპორტულ კომპლექსში, ხოლო შემდგომ, ეტაპობრივად ჩაერთვება ყველა მუნიციპალური სპორტული ობიექტი და აგრეთვე კერძო ობიექტები“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

მისი თქმით, რეგისტრაცია 19 სექტემბერს დაიწყება, სერვისით სარგებლობა კი 3 ოქტომბრიდან იქნება შესაძლებელი. კახა კალაძემ მთავრობის სხდომაზე ქალაქში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებაც ისაუბრა.

**„ძალიან საინტერესო მონაცემებია, 2017 წლამდე რა ხდებოდა დედაქალაქში ჰაერის სისუფთავის თვალსაზრისით და რა ვითარება გვაქვს დღეს. განსხვავებული შედეგები გვაქვს, რაც მისასალმებელია, მაგრამ მხოლოდ ამაზე არ უნდა გავჩერდეთ. უნდა გავაგრძელოთ პროექტების განხორციელება, ხელი შევუწყოთ ახალი პარკების მშენებლობას, სკვერების განახლებას იმისთვის, რომ ჩვენმა შვილებმა, მომავალმა თაობებმა იცხოვრონ სუფთა გარემოში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. პროცესს, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო მუნიციპალური ტრანსპორტის განახლებამ. მეამაყება, რომ დედაქალაქს აქვს ახალი მუნიციპალური ტრანსპორტი. მხედველობაში მაქვს მიკროავტობუსები და ავტობუსები. მეტროს განახლების პროცესი მიმდინარეობს და აქაც გადავდგამთ კონკრეტულ ნაბიჯებს“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

სხდომის დასასრულს, კახა კალაძემ საზოგადოებას უწყების კიდევ ერთი დამსახურებული თანამშრომელი — გიგა სოფრომაძე წარუდგინა, რომელიც შშმ პირთა პროგრამების კოორდინატორი და მერის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს აღმასრულებელი მდივანია.

**„ჩვენი მუნიციპალიტეტის მართლაც გამორჩეული თანამშრომელი უნდა გაგაცნოთ — გიგა სოფრომაძე, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად, მთელ ძალისხმევას მთლიანად ახმარს შშმ პირთა პრობლემების გადაჭრას. ის 2016 წლიდან თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მუშაობს და არის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის შშმ პირთა პროგრამების კოორდინატორი, პარალელურად კი, მერის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს აღმასრულებელი მდივანი. იგი მონაწილეობს მერიის საქალაქო სამსახურების, გამგეობებისა და სხვა მუნიციპალურ სტრუქტურებში შშმ პირებისთვის პროგრამების შედგენა-განხორციელებაში. მინდა, მას კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადავუხადო იმ შრომისთვის, რასაც ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს. ასევე, წარმატებები ვუსურვო მომდევნო წლების განმავლობაში იმ პროექტების განხორციელებაში, რაც დაგეგმილი გვაქვს“,** — აღნიშნა კახა კალაძემ.

# ოპოზიცია ცდილობს, პროცესი შეღახონ, შეღანძღონ, გააფუჭონ, რათა საქართველოს პერსპექტივა არ ჰქონდეს!

**ქართულ მხარეს ევროკომისიის მიერ გაცემული 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესასრულებლად ვადა წლის ბოლომდე აქვს მიცემული. რეკომენდაციების შესრულებაზე პოლიტიკური მხარეები თანხმდებიან, მაგრამ საერთო გეგმაზე კონსენსუსს ვერ მიაღწიეს. მმართველი გუნდის სტრატეგიას რადიკალური ოპოზიცია არ იზიარებს, რომელთა ალტერნატიულ გეგმას რევოლუციური გზით ხელისუფლების შეცვლა წარმოადგენს.**

## არ სურთ, „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში საქართველოს ჰქონდეს წარმატებები



პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის, **მიხეილ სარჯველაძის** განცხადებით, საუბედუროდ, ოპოზიციის გარკვეული ნაწილი ცდილობს, რომ ევროინტეგრაციის მიმართულებით პროცესი შელახონ და მაქსიმალური ზიანი მიაყენონ.

**„საუბედუროდ დღეს პარლამენტში გვყავს ოპოზიციის არც თუ ისე მცირე წარმომადგენელი, რომლისთვისაც პრიორიტეტები იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ მათ მაინცდამაინც ჯანსაღი ინტერესები არ გააჩნიათ. მათ საქართველოს ინტერესი, სამწუხაროდ, არ აქვთ პირველ ადგილზე დაყენებული. მერკანტილური და ვიწროპარტიული ინტერესია მათი ქმედებების და დღის წესრიგის განმაპირობებელი.**

**საუბედუროდ, ასეთია მათი ბუნება და ამიტომაც არის, რომ მათთვის მნიშვნელოვანია არა 12 პუნქტის შესრულება და შემდგომი ნაბიჯის გადადგმა, არამედ მათი ამოცანაა, რომ ამას რამენაირად ხელი შეუშალონ. მათ არ უნდათ, რომ „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში საქართველოს ჰქონდეს ისეთი წარმატება, როგორიც არის მომდევნო ნაბიჯების გადადგმა ევროინტეგრაციის მიმართულებით. ეცდებიან, რომ პროცესი შელახონ, შელანძღონ გააფუჭონ და საქართველოს პერსპექტივა არ ჰქონდეს“,** — აღნიშნა **მიხეილ სარჯველაძემ**.

როგორც ცნობილია ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესრულების დრო იწურება. ქვეყანას დარჩენილი აქვს სამ თვეზე ნაკლები, თუმცა ხელისუფლება და ოპოზიცია ისევ სხვადასხვა გზით ხედავენ ქვეყნის ევროპულ პრესპექტივას. პარლამენტში საერთო ენის გამონახვა და ერთობლივი მუშაობა კვლავ ვერ ხერხდება. მათ შორის სახალხო დამცველის არჩევის წესთან დაკავშირებით, რაც 12-პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი ნაწილია. ანალიტიკოსების განცხადებით, ოპოზიციის მიზანია შეაფერხონ ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულება.

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** ამბობს, რომ ოპოზიციის მთავარი სტრატეგია არის როგორმე ჩაშალოს 12-პუნქტიანი გეგმის შესარულება და საქართველოს, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში არ მისცენ საშუალება მიიღოს კანდიდატის სტატუსი და გამოიყენონ მთავარ არგუმენტად ქვეყანაში ხელისუფლების შესაცვლელად.

**„რა თქმა უნდა, ეს არის ოპოზიციის დესტრუქციული ნაწილი — „ნაციონალური მოძრაობა“, „სტრატეგია აღმაშენებელი“ და „ლელო“. მათი მიზანი ცხადია - რამენაირად არ შესრულდეს 12-პუნქტიანი რეკომენდაციები და დადგეს ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი, რომ როგორმე შეცვალონ ხელისუფლება. ეს არის მათი სტრატეგია და ტაქტიკა, ამისთვის აკეთებენ ყველაფერს და ბუნებრივია, რომ ისინი ეცდებიან ეს რეკომენდაციები არ შესრულდეს. იგივე ტაქტიკა აქვთ მათ მფარველებსაც, რომლებმაც ამ რეზოლუციას საქართველოს წინააღმდეგ მისცეს ხმა. რა თქმა უნდა, მათი გეგმა და სტრატეგია არის ნათელი — ხელიუფლების შეცვლა და ბუნებრივია, ამ აღქმას არ უნდა აჰყვეს მოსახელობა, რომლებმაც ფაქტებს უნდა დაუჯეროს და არა პროპაგანდას.**

**ფაქტია ის, რომ აგვისტოს ომი წინასწარ ისე გათვალეს, რომ წაგებისთვის იყო გათვლილი; ყველა სტრატეგიული ობიექტი სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში გადავიდა რუსეთის საკუთრებაში; გარდა ამისა, უვიზო რეჟიმი რუსეთთან სააკაშვილმა დააბრუნა. შევხედოთ რა მოხდა „ქართული ოცნების“ პირობებში — ევროპასთან ასოცირებას მოეწერა ხელი, და ასევე მოხდა ის, რომ საქართველოს ევროპული პერსპექტივა აღიარა ევროკომისიამ და ევროსაბჭომ. აქიდან გამომდინარე, ფაქტები მეტყველებენ, რომ საქმე პირიქით არის“,** — აღნიშნა **დავით ზარდიაშვილმა.**

პოლიტოლოგის **რამაზ საყვარელიძის** განცხადებით, ქართული ოპოზიციის ნაწილის მიზანი რომ ხელისუფლების ცვლილებაა, ცხადია. ამის მცდელობა რადიკალურ ოპოზიციას რამდენჯერმე ჰქონდა და ყველა შემთხვევაში უშედეგოდ დასრულდა.

**„რასაკვირველია, მათი მიზანია შეაფერხონ 12-პუნქტიანი გეგმის შესრულება, რადგან მიაჩნიათ, რომ ასეთ შემთხვევაში ერთადერთი შანსია „ნაციონალური მოძრაობა“ მოვიდეს ხელისუფლებაში და თუ „ნაცმოძრაობა“ მოვა, გაცილებით უმტკივნეულო გახდება ინტეგრაციის პროცესი - ასეთი პოზიცია უკავიათ. ის, რომ მათთვის ხელისუფლებისკენ მოძრაობაში რაიმე ბარიერი არ არის, ეს ცხადია და ჩვენ ვნახეთ რევოლუციისკენ გადადგმული ნაბიჯები. პირდაპირ და ბევრჯერ იყო გაცხადებული, რომ რევოლუციური გზით უნდა შეიცვალოს ხელისუფლება. ის, რომ ქვეყნისთვის დამანგრეველია როგორც რევოლუცია, ასევე ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლა, ეს ჩვენს თავზე ერთხელ ვიწვნიეთ“,** — ამბობს საყვარელიძე.

მისი თქმით, სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში არაა გამჯდარი ეგ ცნობიერება, რომ დამხობით და რევოლუციებით ხელისუფლების ცვლა მავნებელია ქვეყნისათვის.

**„რევოლუცია კარგს არაფერს გვპირდება და თან დასავლეთის გამოცდილებაც ასეთია. დასავლეთის ქვეყნებში არ არის ხელშეწყობილი რევოლუციური გზით სვლა და არ აქვს მნიშვნელობა ვინ არის ოპოზიციაში. რევოლუციის დროს ქვეყანა ვარდება მძიმე მდგომარეობაში. ძლივს რაღაცა ეკონომიკური ურთიერთობები ეწყობა ამ საქართველოზე, ტრანზიტების სახით და ახლა რომ რევოლუცია ქვეყნისთვის დამღუპველია, ამას დიდი მკითხაობა არ უნდა.**

**მაგრამ ასეთი ოპოზიციური პარტია გვყავს, რომელიც რევოლუციაზე ფიქრობს და არა მარტო ოპოზიცია, არამედ მათი მომხრეებიც. გადავავლოთ თვალი სოციალურ ქსელს, თითქმის ყველა ამბობს — დავამხოთ „ოცნება“ და მოვიდნენ „ნაციონალები“, მაგრამ იმას არ ამბობენ, რომ იმ „ნაციონალებმა“ მოიპოვონ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერა და ამ გზით მოვიდნენო. ჩვენს საზოგადოებაში არაა გამჯდარი ეგ ცნობიერება, რომ დამხობით და რევოლუციებით ხელისუფლების ცვლა მავნებელია ქვეყნისათვის“,** — აღნიშნა **რამაზ საყვარელიძემ.**

თამთა ქარჩავა

# გაბანკროტებული ბელადი და...

## დაანონსებული „ცხელი შემოდგომა“, რომელიც ნელთბილიც არ აღმოჩნდა

**ჩავარდნილი „ცხელი შემოდგომა“ და გზავნილებსა და მოთხოვნებში აცდენილი „ნაციონალური მოძრაობა“ — მას შემდეგ რაც ენმ-ის თავმჯდომარემ, ნიკა მელიამ საპროტესტო აქციები და რიგგარეშე არჩევნები დააანონსა, გაოცება ჯერ მის პარტიაში გამოხატეს, შემდეგ კი დანარჩენ ოპოზიციაში. აღმოჩნდა, რომ მელიას მიერ შემოთავაზებული „ცხელი შემოდგომა“ „ნელთბილიც“ კი არ იქნება. თუმცა მელიას ერთი მომხრე და თანამოაზრე „გირჩი — მეტი თავისუფლების“ ლიდერის, ზურაბ ჯაფარიძის სახით მაინც აღმოაჩნდა.**

ჯაფარიძე ამბობს, რომ მისი მთავარი ფუნქცია ქვეყანაში რაღაცების გაფუჭება იქნება და ამაში მისი სამასამდე გამომწერი დაეხმარება. არადა ბოლოს 3 ივლისს ჩაფლავებული აქციის შემდეგ, ოპოზიციას აღარც მივარდნის და აღარც გამოვარდნის რესურსი აღარ დარჩა. დაპირისპირება თავად ენმ-ში იმდენად გამწვავებულია, რომ პარტიაში ბანაკებადაც კი არიან დაყოფილები. როგორც ხმები ვრცელდება, **დავით კეზერაშვილი კობა ნაყოფიას** და **პეტრე ცისკარიშვილის** გადაყენებას ითხოვს. მათ მაგივრად კი დაწინაურებას **ლევან ხაბეიშვილს** უპირებს. რაც შეეხება **მიხეილ სააკაშვილს,** ის პოლიიტიკურად როგორც ქვეყანაში, ასევე პარტიის შიგნით გაბანკროტებულია.

დაპირისპირება კულისებს გასცდა და საჯაროდ ცნობილი გახდა, რომ ენმ-ის წევრს **რომან გოცირიძესა** და **გიული ალასანიას** მეგობარ **გიორგი ჩალაძეს** შორის სიტუაცია დაიძაბა.



**რომან გოცირიძე გიორგი ჩალაძის პოსტის „სქრინს“ აქვეყნებს და წერს:**

**„ვინმემ იცით, ამ მოსიარულე კრეტინს რა უნდა?!“ — და კომენტარებში დაამატა: „პარტიის ოფისის შტურმის წინა დღეს, როცა ნიკა მელიას იცავდა ათასზე მეტი ადამიანი, კინწისკვრით იქნა გაგდებული პარტიიდან ინტრიგნობისთვის. დროზე რომ თქმულიყო ეს, ვერ გაბედავდა თავისი ჩვეული ინტრიგნობის გაგრძელებას. ბოლოს მეორეჯერ იქნა გაგდებული კინწისკვრით ორიოდე თვის წინათ, როცა გაბედა და „შემოიხედა“ პარტიის ოფისში. მიშას თანამებრძოლის როლი მოირგო და ამდენი წელი თავს ვიკავებდით ამ კრეტინი ვირეშმაკას შესახებ ღიად საუბარზე“,** — წერს გოცირიძე.

ანალიტიკოსი **ვახტან ძაბირაძე** For.ge-სთან ამბობს, რომ პოლიტიკურად „ცხელი შემოდგომა“ კი არა „ნელთბილი შემოდგომაც“ არ გვექნება. ანალიტიკოსი ამის მიზეზად ოპოზიციის არასწორ ქმედებას და განცხადებებს ასახელებს. ძაბირაძე ამბობს, რომ 2 წლის განმავლობაში ოპოზიცია რიგგარეშე არჩევნებს ითხოვდა. ამისთვის პარლამენტშიც კი არ შედიოდნენ და ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი იყო შექმნილი, მაგრამ ხელისუფლება ამ მოთხოვნას მაინც არ დასთანხმდა. მით უმეტეს ახლა არანაირი პოლიტიკური პროცესი არ არსებობს იმისთვის, რომ ხელისუფლება ამაზე წავიდეს. ამიტომაც ოპოზიციის მოთხოვნები იმდენად მოძველებული და გაცვეთილია, რომ ჩვენი მოსახლეობა მათ მიმართ ნიჰილისტურად არის განწყობილი.

**„მას შემდეგ, რაც უკრაინაში ომი დაიწყო, ოპოზიცია მუდმივად წინა პლანზე რაღაცა თემების წამოწევას ცდილობს. ვნახეთ უკრაინის მხარდამჭერი აქციები, ასევე ევროკავშირში გაწევრიანების მოთხოვნით რუსთაველზე შეკრებილი ხალხი, მაგრამ როგორც კი წინა პლანზე პოლიტიკური განცხადებები მოდის და ხალხს არჩევანის წინაშე აყენებენ, ან ხელისუფლება ან „ნაციონალები“, აქციის მონაწილეები სახლებში მიდიან. რატომ? იმიტომ რომ არსებული ოპოზიცია ხალხს არ უნდა. ვერ აჯერებენ ჩვენს მოსახლეობას, რომ ამ ხელისუფლებაზე უკეთესები იქნებიან. მელიასთან მაქვს კითხვა: მართლაც რომ დაინიშნოს რიგგარეშე არჩევნები, მით უმეტეს სააკაშვილი პოლიტიკურად აღარ არის იმ სიმძიმის მატარებელი, რაც აქამდე იყო, რისი იმედი აქვთ?**

იხ. 9 გვ.

# ლევან დავითაშვილი: თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მზად ვართ, საქართველო გადაიქცეს რეგიონულ მონაცემთა გაცვლის ჰაბად




**საქართველოში წელს პირველად გაიმართა საერთაშორისო ციფრული კავშირის სამიტი, რომელზეც ვიმსჯელეთ საქართველოს შესაძლებლობებზე ციფრული კავშირებისა და მონაცემთა ცენტრების მოწყობის კუთხით. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მზად ვართ, საქართველო გადაიქცეს რეგიონულ მონაცემთა გაცვლის ჰაბად,** — ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა საერთაშორისო ციფრული კავშირის სამიტზე, მედიასთან საუბრისას განაცხადა.

მინისტრის თქმით, ამ თვალსაზრისით, საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და განსაკუთრებით დღევანდელი მოვლენების ფონზე, საქართველო როგორც სანდო დერეფანი, რომელიც არის უმოკლესი კავშირი ევროპასა და აზიას შორის, ბევრი ქვეყნისთვის აქტუალურია.

**„მათ შორის ჩვენ განვიხილავთ შავი ზღვისქვეშა კავშირს, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ევროპა და აზია მონაცემთა გაცვლის კუთხით პირდაპირ დავაკავშიროთ ერთმანეთთან და რა თქმა უნდა, საქართველოში, გარდა მონაცემთა გაცვლის სატრანზიტო ფუნქციისა, გაჩნდეს მონაცემთა ცენტრები. ამისთვის ყველა წინაპირობა არსებობს — გაგვაჩნია ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობა და შესაბამისად, ციფრული ეკონომიკის განვითარების მიმართულებით საქართველოს სანდოობა ზოგადად არის ძალიან მაღალი.**

**ეს საშუალებას მოგვცემს მოვიზიდოთ ინვესტიციები და საქართველოში შემოვიდნენ ისეთი კომპანიები, როგორიცაა Amazon, Google, Apple, სხვა მსხვილი კომპანიები და აქ მოეწყოს მონაცემთა ცენტრები, მოხდეს მონაცემთა გაცვლა რეგიონის მეზობელ ქვეყნებს შორის. ასევე საქართველოში იყოს ის კვანძი, რომელიც ინტერნეტ კავშირს დაამყარებს აზიის სხვადასხვა ქვეყნებსა და ევროპას შორის უმოკლესი კავშირის მეშვეობით“,** — აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

„საერთაშორისო ციფრული კავშირის სამიტი“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, კომუნიკაციების კომისიისა და მსოფლიო ბანკის ორგანიზებით იმართება და რეგიონთაშორისი ციფრული დერეფნების განვითარებას ეძღვნება.

სამიტში ევროპის, ცენტრალური აზიის, ჩინეთის და კავკასიის რეგიონის ქვეყნები მონაწილეობენ. სამიტის ფარგლებში, დაგეგმილია ერთობლივი დეკლარაციის მიღება.




# აკეთში თხილის შემნახველი ახალი საწარმო გაიხსნა

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი, USAID-ის მისიის ხელმძღვანელი ჯონ პენელი და გურიაში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ურუშაძე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთში იმყოფებოდნენ, სადაც თხილის შემნახველი საწარმო ამოქმედდა.**

შპს „ჯი-ეიჩ-ჯი-ეი კომერშიალ“ თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი თხილის შემნახველი საწარმოა, სადაც, ერთდროულად 1,000 ტონამდე თხილის შენახვაა შესაძლებელი. კომპანია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამმუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ბენეფიციარია. საწარმოში, ჯამურად, 1 მლნ ლარზე მეტის ინვესტიცია განხორციელდა, USAID-ის გრანტთან ერთად, 390,000 ლარზე მეტი სახელმწიფო გრანტია, ხოლო 390,000 ლარი შეღავათიანი აგროკრედიტი.

კომპანია პროდუქციის რეალიზაციას როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე გეგმავს.

**„მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მაქვს, ჩვენს პარტნიორებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენენ კერძო სექტორს, ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას, დავესწრო შემნახველი საწარმოს გახსნას. თხილის მწარმოებლები მრავალი გამოწვევების წინაშე დგანან. ჩვენ, პარტნიორებთან ერთად, ხელს ვუწყობთ მათ, გააუმჯობესონ თავიანთი პროდუქციის ხარისხი და კონკურენტუნარიანები გახდნენ.**

**ამას ვახერხებთ ჩვენი პროგრამის ფარგლებში, რომლის ღირებულება 7,4 მლნ აშშ დოლარია და 7 წლის განმავლობაში მიმდინარეობს. ეს არის ძალიან კარგი მაგალითი ქართველი და ამერიკელი ხალხის პარტნიორობის, რომელიც ბოლო 30 წლის განმავლობაში წარმატებულად ხორციელდება“,** — განაცხადა USAID-ის მისიის ხელმძღვანელმა, ჯონ პენელიმ.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერით, საქართველოს მასშტაბით, გადამმუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში 196 საწარმოა თანადაფინანსებული, სახელმწიფო გრანტის ოდენობამ 95 მლნ ლარზე მეტი შეადგინა.

გურიის რეგიონში, ამავე პროექტის ფარგლებში, 13 საწარმოა თანადაფინანსებული, სახელმწიფო გრანტის ოდენობა 5 მლნ ლარს აღემატება.

# თეკლათში სადრენაჟე არხების გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ სენაკის მუნიციპალიტეტში სადრენაჟე სისტემის მოწესრიგების სამუშაოებს ატარებს. სოფელ თეკლათში, ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან 3,5 კილომეტრი სიგრძის კოლექტორები და შემკრები არხები იწმინდება.**




ჩატარებული სამუშაოების შედეგად, არხის გამტარუნარიანობა გაიზრდება, რაც 60 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე და საკარმიდამო ნაკვეთებზე სადრენაჟე მომსახურების აღდგენას უზრუნველყოფს. მოწესრიგებული სადრენაჟე არხები სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების გაზრდას შეუწყობს ხელს.

დამშრობ სისტემაზე მიმდინარე სამუშაოებს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ გადელია, საკრებულოს წევრი საბა ოდიშარია, საქართველოს მელიორაციის დასავლეთ საქართველოს რეგიონალური სამსახურის უფროსი თემურ გაბელაია ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნენ. სამუშაოები, რომელსაც საქართველოს მელიორაცია საკუთარი ძალებით ახორციელებს დასრულების ეტაპზეა.

# ხალხი სულ უფრო მეტს სესხულობს და მერე დაბრუნება ძალიან უჭირს!

# ვალაუვალი ქვეყანა

**სესხებზე დამოკიდებულება იზრდება. როგორც ეროვნული ბანკის ანგარიშიდან ირკვევა, ერთ წელიწადში გაცემული კრედიტების მოცულობამ 42 მილიარდ ლარს გადააჭარბა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და არ არის გამორიცხული, მომხმარებლებს სერიოზული პრობლემა შეუქმნას. ხალხს განკარგვადი შემოსავალი არ აქვს და დიდია რისკი, რომ დაუბრუნებელი კრედიტების მოცულობა კიდევ უფრო გაიზარდოს.**

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2022 წლის ივლისში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხები წლიურად 16.3%-ით გაიზარდა და 42.1 მლრდ ლარი შეადგინა.

**„ლარით დაკრედიტება წლიურად 20.0%-ით გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 9.5 პროცენტული წვლილი შეიტანა. 2022 წლის ივლისში გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, უცხოური ვალუტის სესხებმა წლიურად 12.96%-ით მოიმატა და მთლიანი სესხების ზრდაში 6.8 პროცენტული წვლილი შეიტანა. დაკრედიტების შენელება, ძირითადად, ბიზნეს სესხებისა და სამომხმარებლო სესხების ზრდის ტემპის კლებამ განაპირობა“,** — აღნიშნულია მიმოხილვაში.

ტენდენცია იმდენად მზარდია, თუკი ამ პროცესის პარალელურად შემოსავლები არ მოიმატებს და დასაქმების სტრუქტურა არ გაუმჯობესდება, შესაძლოა, მოსახლეობა ვალაუვალი გახდეს, რის პრობლემაც წლების წინ იყო და მდგომარეობის გამოსწორებას რეგულაციების გამკაცრება დასჭირდა.

**არასახარბიელო ვითარებას ადასტურებს სტატისტიკაც — საქართველოში მსესხებლების 11,55-ს ვადაგადაცილება უფიქსირდება.**

**„კრედიტინფოს“ 2022 წლის ივლისის სტატისტიკის მიხედვით, 30 დღიდან 3 წლამდე ვადაგადაცილება, 217 831 მსესხებელს უფიქსირდება, კონტრაქტების რაოდენობა კი 408 563-ს შეადგენს. საერთო ჯამში, ივლისის მდგომარეობით, საქართველოში საფინანსო სექტორის ვალი 1 890 970 ადამიანს აქვს, ჯამში 34 003 103 857 ლარის მოცულობის.**



**აღსანიშნავია, რომ მსესხებლების 84,5% საბანკო სექტორზე მოდის, კერძოდ, ივლისის მდგომარეობით, ბანკებიდან 30 918 299 899 ლარის მოცულობის კრედიტი სულ 1 597 259 მსესხებელს აქვს აღებული.**

**ამასთან, სებ-ის მიერ სხვა რეგულირებადი საფინანსო ინსტიტუტების (მიკროსაფინანსო, სესხის გამცემი სუბიექტი) კრედიტორი 692 057 ადამიანია, გაცემული სესხების მოცულობა კი 2 656 035 815 ლარს შეადგენს. კიდევ 21 552 ადამიანს კი, ჯამში, 428 768 143 ლარის სესხი აღებული აქვს სალიზინგო, სამშენებლო და სხვა ტიპის კომპანიისგან.**

**საბანკო სფეროს ექსპერტი ლია ელიავა აცხადებს, რომ 2-3 წელიწადში საქართველოს მოსახლეობა შეიძლება ვალაუვალი გახდეს და მივიღოთ იმაზე მწვავე მდგომარეობა, ვიდრე რამდენიმე წლის წინ იყო.**

**„სესხების საპროცენტო განაკვეთების ზრდა გამოწვეულია ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირების საკმაოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთებით, რამაც იქონია სესხებზე გავლენა. მეორე მთავარი პრობლემა ინფლაციაა. კომერციული ბანკები ყოველთვის ცდილობენ დაიცვან სესხები ინფლაციური პროცესისგან და ზრდიან საპროცენტო განაკვეთებს.**

**ვხედავთ, რომ ეკონომიკის შთამბეჭდავი ზრდის მიუხედავად, შემოსავლები არ იზრდება, ხალხს უნდა ნორმალური ცხოვრება და შესაბამისად, სესხის აღებას ცდილობს. სამწუხაროდ, ფულის დეფიციტია, არ აქვს ხალხს განკარგვადი შემოსავალი. დიდი რისკია, რომ დაუბრუნებელი კრედიტების მოცულობა კიდევ გაიზარდოს, რაც გამოიწვევს უძრავი ქონების დაკარგვის საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს“,** — განაცხადა ელიავამ.

როგორც ექსპერტმა დასძინა, თუკი გადახდის პრობლემა გაჩნდება, გადაუხდელობის გამო ადამიანები დაკარგავენ ბიზნესებს, რომლებიც კომერციული ბანკების სკაუთრებაში გადავა, ასევე უძრავ ქონებასაც.

**ბექა დანელია**

# ხორცის დახლიდან უშიშროების მაღალჩინოსნად მოვლენილი პროვოკატორი, ანუ სახალისო ზღაპრები 306-ე საკნიდან...



**„ძალიან საინტერესოა გოგაშვილის ძალოვან სტრუქტურაში მოხვედრა და აქაც შესაძლებელია, საქმე გვქონდეს სადაზვერვო შეჩეჩებასთან“**

**სოსო გოგაშვილის ოჯახის წევრებს საკუთრებაში არსებული ქონება დაუყადაღეს, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოძიება 306-ე საკნის მობინადრის ქონების კანონიერების შესწავლას იწყებს. პატიმარი გოგაშვილი „წარმატებით“ აგრძელებს ხელისუფლების კომპრომეტაციას. მისი სამიზნე კი, შს მინისტრი ვახტანგ გომელაურია. ე.წ. „მხილების“ კომპანიაში ჩართულია გოგაშვილის ოჯახიც. ამჯერად გოგაშვილი მორიგ ეპისტოლეში წერს, რომ ვლადიკავკაზში „აირზენას“ ჩარტერით შს მინისტრის გადაფრენის შემდეგ, ინფორმაციის გაჟონვის დაზღვევის მიზნით, ორივე პილოტი მოსმენაზე დასვეს და ორი თვის განმავლობაში აკონტროლებდნენ.**

პატიმარი გოგაშვილი ამბობს, რომ რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის იმ ეპიზოდზე, რომლის შესახებაც ინფორმაცია გაავრცელდა, კონკრეტული მტკიცებულებები გააჩნია.

**„ივანიშვილის ამ დავალების შემდეგ, მე უკვე საბოლოოდ მივიღე გადაწყვეტილება მომეგროვებინა მტკიცებულებები ამ ბინძური, მოღალატე ხელისუფლების შესახებ, რომლის ნაწილიც სამწუხაროდ, მეც ვიყავი. სამხილებლად რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის ამ ეპიზოდზე, ასევე სხვა ნებისმიერ ინფორმაციაზე, რასაც ვასაჯაროებ, მაქვს კონკრეტული მტკიცებულებები (აუდიო, ვიდეო, ფოტო და ა.შ.). რაც შეეხება ვლადიკავკაზში გადაფრენას, „აირზენას“ჩარტერით, ჩვენ ამ ფრენის შემდეგ მოსმენაზე დავსვით ორივე პილოტი, რადგან გადაგვეზღვია ინფორმაციის გაჟონვა და რამდენიმე თვე ვაკონტროლებდით“,** — წერს **სოსო გოგაშვილი.**

ამ მონათხრობში საინტერესოა ის, რომ გოგაშვილი რატომღაც არ ასახელებს კონკრეტულ გვარებს და ამას მათივე უსაფრთხოებას უკავშირებს, თუმცა ამბობს, რომ მტკიცებულებებს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გაასაჯაროებს. შეგახსენებთ, სუს-ის უფროსის ყოფილმა მოადგილემ, სოსო გოგაშვილმა აღწერა სქემა, რომლითაც მისი მტკიცებით, ქართული და რუსული სპეცსამსახურების კოორდინაციით, სანქციების გვერდის ავლით, საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტის გამოყენება ხდება.

გოგაშვილი ამბობს, რომ 2016 წელს ბიძინა ივანიშვილის დავალებით, ის ვლადიკავკაზში ფსბ-ს საიდუმლო ბაზაზე იმყოფებოდა, სადაც ფსბ-ს გენერალ სედოვს შეხვდა. შეხვედრის მიზანი კი, მისი თქმით, იყო ქვედა დონის მოკავშირე ოფიცრების ურთიერთობის აწყობა, შესაფერისი სანდო პირების გამოყოფა, მათი ერთმანეთთან დაკავშირება, ასევე არალეგალური და კონტრაბანდული ტვირთებისათვის უსაფრთხო დერეფნების უზრუნველყოფა, ასევე საქართველოში მყოფი რუსეთის მოქალაქეების, რომლებიც არ იყვნენ სასურველი პირები და იძებნებოდნენ, მათი არალეგალურად გადაცემა რუსეთისთვის.

**გოგაშვილი რომ ინსტრუმენტია, ეს ცხადია, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი დეტალია, როგორ და ვისი რეკომენდაციით აღმოჩნდა ნავთლუღის ბაზრიდან ძალოვან სტრუქტურაში — ეს არის კითხვა, რომელზეც ხელისუფლების მაღალჩინოსნებს პასუხის გაცემა უჭირთ. ცხადია, რომ კონკრეტული პირის ხორცის დახლიდან სპესამსახურებში გადმოყვანა აჩენს უამრავ კითხვას, მათ შორის იმას, იყო თუ არა ეს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ინტერესში და კერძოდ, იმ ქვეყნის სპეცსამსახურის, რომელსაც მუდმივად აწყობს საქართველოში ქაოსი და დესტაბილიზაცია, რასაც გოგაშვილი წარმატებით ასრულებდა და ასრულებს.**

მისი თქმით, ამის შემდეგ დაიგეგმა ვახტანგ გომელაურის შეხვედრა რუს გენერლებთან და ამ შეხვედრების შემდეგ, 2017 წლის ნოემბერში საქართველოში ფსბ-ს ორ გენერალს — სედოვს და ბესედას უმასპინძლეს, დეკემბერში კი ქართული მხარე ოფიციალური მიწვევით მინსკში იმყოფებოდა, სადაც ვახტანგ გომელაური და ბორტნიკოვი ერთმანეთს კიდევ ერთხელ შეხვდნენ.

ასეთია გოგაშვილის მიერ შედგენილი მორიგი ნაშრომი, რომელიც ცხადია, გამოძიების დაინტერესების საფუძველი უნდა გახდეს. ბრალდების მთავარი ფიგურანტი ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს, თუმცა უმრავლესობის წევრი, **მამუკა მდინარაძე** ასეთ კომენტარს აკეთებს:

**„სოსო გოგაშვილმა თავისი განცხადებები მაშინ დაასრულა, მოსკოვში სიები იგზავნებოდაო რომ ჰყვებოდა. გულწრფელად თანავუგრძნობ ყველა ადამიანს, რომელსაც სჯერა, რომ საქართველოს ხელისუფლება მოსკოვში შესათანხმებლად რაღაც სიებს აგზავნის. იშვიათად შემხვედრია ისეთი პატიოსანი და პატრიოტი ადამიანი, როგორიც ვახტანგ გომელაურია, სოსო გოგაშვილი კი საქართველოს და ქართული პოლიციის წინააღმდეგ არის მხოლოდ ინსტრუმენტალური აგენტი, აგენტ-ინსტრუმენტი. მას იყენებენ „ტვ პირველის“ ნიუსრუმში მოგონილი ამბების საფუძვლად. მითხარით ერთი ფაქტი იმ დოკუმენტებში, რომელიც მის მონათხრობს ადასტურებდა“,** — აღნიშნა **მამუკა მდინარაძემ.**

ხელისუფლების და კერძოდ, შს მინისტრის ფსბ-სთან თანამშრომლობის შესახებ გოგაშვილის განცხადებას, დიდ აბსურდს და სრულ სისულელეს უწოდებს თბილისის მერი, **კახა კალაძე:**

**„ამის მტკიცებულებები რომ არსებობდეს, რა თქმა უნდა, შესაბამისი რეაგირება მოჰყვება. განცხადებები ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გააკეთოს. ეს განცხადებები დაფუძნებულია აბსურდზე და სხვა არაფერზე, შესაბამისად, ეს არაფერს ნიშნავს. თქვენც შეგიძლიათ გააკეთოთ ნებისმიერი განცხადება, ხართ ტელევიზიის წარმომადგენელი, გამოხვიდეთ ტელევიზიით, გამოიყენოთ თქვენი პლატფორმა, თქვათ რაიმე სისულელე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ შესაბამისმა უწყებებმა დაიწყონ გამოძიება. ამისთვის არსებობს სახელმწიფო“.**

**გოგაშვილი, რომ ინსტრუმენტია, ეს ცხადია, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი დეტალია, როგორ და ვისი რეკომენდაციით აღმოჩნდა ნავთლუღის ბაზრიდან ძალოვან სტრუქტურაში — ეს არის კითხვა, რომელზეც ხელისუფლების მაღალჩინოსნებს პასუხის გაცემა უჭირთ.**

იხ. 9 გვ.

# „დაქალები“



## ნოდარიკო, სოსო გოგაშვილთან რატომ გარიგდით? როდის გარიგდით? ვისი მეშვეობით? რის სანაცვლოდ? ერთმანეთში გადაბმული კუდები გიჩანთ, მეგობრებო!

...იმდენი პრობლემაა ირგვლივ და იმდენი თემა, რომ შეიძლება ბევრისთვის არც იყოს საინტერესო, ამ პოსტის ფარგლებში ჩემს მიერ გაშლილი თემა — უბრალოდ, მაქვს გონივრული ეჭვი (ვერსიას ფაქტად არ ვასაღებ ზოგიერთი ჟურნალისტის მსგავსად), რომ მელაძე იოსებ გოგაშვილის გავლენის ქვეშ იყო თვეების განმავლობაში და მის დირექტივებს თუ რეკომენდაციებს ითვალისწინებდა „ტვ პირველის“ სარედაქციო პოლიტიკის ფარგლებში — ახლა რა მაძლევს ამის თქმის საფუძველს;

ვინც არ იცით — იოსებ გოგაშვილზე პირველი სტატიები ჩემს კალამს ეკუთვნის — ბეჭდური მასალების გარდა, მე მას ტელეკომპანიების თანხლებით ვესტუმრე სუსში, როდესაც დღეების დანიშნული იყო და იქვე გავაკეთე კომენტარი, რომ ის იყო კრიმინალური მიდრეკილებების მქონე ადამიანი.

მახსოვს, დამცინოდნენ (სხვათა შორის ისინი, ვინც მის მეგობრად გვეცნობოდნენ და უკვე დღეს, ამავე ფეისბუქში, საჯაროდ გმობენ!)

გოგაშვილს ჯერ კიდევ 2012 წლიდან ვიცნობდი, მაშინ როდესაც „ქართული ოცნების“ შტაბში, კომპიუტერების ეკრანებს და საფერფლეებს ესროდა ლევან კოჭლოშვილს და სხვა ახალგაზრდა აქტივისტებს (ლევან კოჭლოშვილი თელავის საკრებულოში მუშაობს და შეგიძლიათ გადაამოწმოთ ჩემს მიერ მოხმობილი ფაქტი — თავად აქვს ეს ნაამბობი)... გადის ბევრი წელი — საქართველოდან მივდივარ, ბელგია პოლიტიკურ თავშესაფარს მაძლევს, მათ შორის ამ ჩინოვნიკის მიერ მოწყობილი პროვოკაციების გამო. პერიოდულად, ქართველების აქტივობებს — „ფორმულაზე“, „მთავარზე“ და „ტვ პირველზე“ მიშუქებდნენ — ზოგჯერ უარსაც მეუბნებოდნენ, მაგრამ ეს არ გამხდარა იმის მიზეზი, რომ რომელიმე მედიის წარმომაგენლისთვის, ცილი დამეწამა.

მას შემდეგ, რაც სუს-ის კრებსები გავრცელდა, თვეების განმავლობაში გავაანალიზე მელაძის დამოკიდებულება ჩემდამი, რომელსაც 2002 წლიდან ვიცნობ, მაშინ როდესაც ნოდარიკო, ტელეკომპანია „ევრიკაზე“ მუშაობდა. ხან ერთი აქციაა ბრიუსელში, ხან მეორე, რომელიც არ მოდის წინააღმდეგობაში მისი არხის საინფორმაციო პოლიტიკასთან, მაგრამ მელაძე ჩემს გადაგზავნილ მასალებს არ იმჩნევდა...

ორი თვის წინ უკრაინაში ჩავედი — რამდენიმე მედიასაშუალება აქეთ დამიკავშირდა, რამდენიმე კადრი გავიდა — მერე თითქმის დაცარიელებულ ხარკოვში გადავედი, ფრონტის ხაზიდან 20 კმ-ში მდებარე ქალაქში, სადაც ტყვიები გადამდიოდა თავზე, იქ გადაღებული მასალებიც გაატარა — შემდეგ „ვოთსაფში“ მივწერე: ნოდარ, ვინმემ ბლოკი დამადო თქვენთან-თქო ? მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მისი წყარო გაშიფრული, მისივე ექსთანამშრომლების მიერ, ანუ ჯერ კიდევ არ იცნობდნენ გოგაშვილის დაქალად ნოდარს, როგორც გაბუნიამ უწოდა და ვარაუდებით სხვაგან წავედი — ელისო კილაძის გამო ვიბლოკები-მეთქი? (იმ პერიოდში ელისო, რამდენიმე ოპოზიციურმა არხმა დაბლოკა და ამის შესახებ თავად ელისომ საჯაროდაც დაწერა — არაო, კატეგორიულად უარყო, კილაძის ხსენებამ გააღიზიანა და 19-20 წლის პრაქტიკანტ თანამშრომელს გადააბრალა ყველაფერი, თითქოს მხოლოდ ისინი წყვეტენ რა გავა „პირველის“ ფბ-გვერდზე და რა არა!

ამხელა მასალა მიუცია სოსოს საიდუმლო არქივებიდან და ისიც ეტყოდა, ოღონდაც უკონტროლო სვანაძე მომაცილე და ვითანამშრომლოთო...

ლოგიკურად ვიმსჯელოთ, მაშინ, როდესაც კატების და ძაღლების ფხანის და ბურთის გადაგდების და უკან მოტანის ვიდეოები, ახალ ამბად საღდება „ტვ პირველის“ ფეიჯზე, რატომ უნდა ეთქვათ უარი უკრაინის მასალაზე?

თან ხაზს ვუსვამ (აქვე ობიექტურობისთვის), რომ წინა პერიოდში, ნოდარს უარი არასოდეს უთქვამს.

ამ გზავნილს შენს ჟურნალისტურ სტილში დავასრულებ (აქვე მოგნიშნავ და გკითხავ) — რატომ გარიგდიით? როდის გარიგდით? ვისი მეშვეობით? რის სანაცვლოდ? ერთმანეთში გადაბმული კუდები გიჩანთ მეგობრებო!..



**ზაზა სვანაძე,**
ჟურნალისტი, რეჟისორი



„გგონიათ, საქართველოში ოლიგარქია აწუხებთ დასავლეთის გარკვეულ ძალებს?! სინამდვილეში, მსოფლიო ბატონობა და მორჩილი ხელისუფლება სურთ“



# ამერიკის ელჩი მიუღებელი ხდება ქართველი ხალხისთვის, ის ქართველებს ამერიკას აძულებს!..

**„ჯერ ერთი, ოლიგარქია საქართველოში უნდა აწუხებდეს ქართველ ერს და ქართველი ერი უნდა წუწუნებდეს ამაზე, თუკი რომელიმე ოლიგარქი ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს პრობლემას უქმნის. ამერიკასა და ევროპაში რატომ წუხდებიან ჩვენი „ოლიგარქიით“? საქართველოში რისი მოთხოვნილებაც კაციშვილს არ გასჩენია, იმაში რატომ „გვეხმარებიან“? — აცხადებს „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე.**

**— „დიდი მნიშვნელობა აქვს, ქართველმა ხალხმა უკრაინაში ომის დამთავრებამდე შეძლოს ხელისუფლების შეცვლა“, — რას ემსახურება „ევროპელი დემოკრატების“ წარმომადგენლის ნიკოლოზ ვაშაკიძის ეს განცხადება? პრინციპში, ეს ადამიანები წინააღმდეგნი არ იქნებოდნენ, 24 თებერვლისთისთვისაც შეცვლილიყო ხელისუფლება და ქართველებს და უკრაინელებს ერთად გვებრძოლა რუსეთის წინააღმდეგ. ვინ არის მათი დირიჟორი — ოკეანის გაღმელი, თუ გამოღმელი?**

— უკრაინაში ომის დამთავრებამდე საქართველოს ხელისუფლების შეცვლა ეს, ალბათ, უფრო სიტყვის მასალაა, რადგან, მე მგონი, პუტინმაც არ იცის, როდის დამთავრდება ომი, მაგრამ ამ განცხადებაში „ნაციონალების“ სულისკვეთება ჩანს. მათ ხელისუფლების ხელში ჩაგდება უნდათ. ეს ადამიანები ყველაზე მშიშრები არიან, 2008 წლის ომში, ასევე, ყველა კრიტიკულ სიტუაციაში გვაჩვენეს საკუთარი თავი. ჩვენ ვნახეთ საქართველოში თანაგრძნობისთვის ჩამოსული კუშნერი და გაქცეული, მფორთხავი პრეზიდენტი, როდესაც კუშნერი ინტერვიუს აგრძელებდა. თვითონ ცხინვალის ომში, როდესაც მეომრები, ჩვენი გმირი ბიჭები იბრძოდნენ და სისხლს ღვრიდნენ, ესენი წითელ ხიდზე ერთმანეთს ასწრებდნენ და იქ ხოცავდნენ ერთმანეთს, რომელი გაასწრებდა. მშიშარა და მხდალი ადამიანები როდესაც ასეთ განცხადებას აკეთებენ, თქვენი კითხვა იყო სწორი, ესენი საკუთარი თავის იმედად აპირებენ ხელისუფლების შეცვლას? ცხადია, არა. ხელისუფლების შეცვლის იმედი კანონიერი და სამართლებრივი გზით ერთადერთ შემთხვევაში შეუძლიათ, როცა აქვთ ამომრჩევლების მხარდაჭერის იმედი. მათ ეს იმედი უკვე **ცხრა არჩევნების განმავლობაში გადაწურული აქვთ, ცხრა არჩევნები დამაჯერებლად წააგეს. ამის მიუხედავად, ნებისმიერი გზით უნდათ ხელისუფლებაში მოსვლა. ამ დროს ვერც ხალხს გამოიყვანენ, ვერც პროტესტს ააგორებენ ხელისუფლების შესაცვლელად.** ვინ დგას ამის უკან? ამის უკან დგას ძალა, რომელიც მათ აგულიანებს, „თქვენ ხართ ჩვენი მონები, შეიძლება სხვა სიტყვებსაც ეუბნებიან და ჩვენ ვდგავართ თქვენს უკან“. ეს ძალა აზერბაიჯანი, სომხეთი და თუნდაც თურქეთი არ არის, ეს უნდა იყოს ან რუსეთი, ან ამერიკა, ან ორივე ერთად. კონკრეტულად ღიად ამ ძალების უკან ვინც დგას, ის ამას ამჟღავნებს კიდეც. მე ვისაც ვხედავ ამ ძალების უკან, ეს არის აშშ-ის საელჩოს წარმომადგენელი, ელჩი კელი დეგნანი, რომელიც ყველა ნაძირლობას „უპრავებს“ ამათ, თავს ისეთ მდგომარეობაში იგდებს, რომ მიუღებელი ხდება ქართველი ხალხისთვის. დეგნანი რომ მიუღებელი ხდება, ეს არაფერია, მთავარი ის არის, რომ დეგნანი ასეთ უარყოფით განწყობას აღვივებს აშშ-ის მიმართ. გამოვიდა ინფორმაცია და საზოგადოების დიდ ნაწილს სჯერა კიდეც, რომ აშშ ჩვენგან ომში ჩართვას მოითხოვდა, რადგან ამას აჟღერებს უკრაინა, უკრაინა კი დღეს ამერიკიდან რომ იმართება, არავინ დავობს. უკრაინის ხელისუფლება ცალსახად და ღიად გვთავაზობდა ომში ჩართვას, დახოცვას და საკუთარი ტვირთის შემსუბუქებას. ამაზე შეფასებები არ გაუკეთებია ამერიკის საელჩოს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებამაც შეაფასა და სხვა აქტიურმა ადამიანებმაც შეაფასეს ასეთი მოწოდებები.

**— შეეძლო ამერიკის საელჩოს უკრაინიდან საქართველოს ომში ჩართვის შესახებ მოწოდებების შეჩერება?**

— მათ შეეძლოთ, დაეგმოთ ასეთი მოწოდებები, ეთქვათ, აგერ უკრაინაში ომი მიმდინარეობს, ეს ვერ მოგვიშუშებია და რა დროს საქართველოს ჩართვაა ასეთ პროცესებში? მსგავსი რამ არ უთქვამს ამერიკის ელჩს, არათუ არ უთქვამს, არც ერთ განცხადებაზე, მათ შორის, ომბუდსმენის ნათქვამზე, ციდან ბომბები რომ ცვიოდეს და ცეცხლში ვიწვოდეთ, ეს მირჩევნიაო, ელჩი არ გამიჯვნია და არ უთქვამს, როგორ შეიძლება ომის პროპაგანდა და ომის მოწოდება?! პირიქით, ასეთი ადამიანების გვერდით მოიაზრება კელი დეგნანი.

**— საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, აღარ მიიტანოს შტურმი კელი დეგნანზე, ღარიბაშვილის განცხადება ამერიკის ელჩთან დაკავშირებით შერბილებული იყო. რით არის ეს განპირობებული?**

— ბუნებრივია, ზეწოლა იქნება საქართველოს ხელისუფლებაზე, რომ მან ღიად არ ილაპარაკოს იმაზე, რა მოთხოვნებიც ამერიკას ჩვენს მიმართ აქვს. ღარიბაშვილი რამდენად დაექვემდებარა ამას, ეს გამოჩნდა მისი შეცვლილი განცხადებით, მხოლოდ ოთხეული ლაპარაკობს ამის შესახებ, ხელისუფლება ამას მკაფიოდ გაემიჯნა. სხვათა შორის, ირაკლი კობახიძეს ეს არ გაუკეთებია და ამ პოზიციიდან უკან არ დაუხევია. ეს მის დადებით თვისებებზე მეტყველებს და იმაზეც, რომ ამ ადამიანს შეიძლება დაეყრდნო, რადგან ზეწოლის შედეგად პოზიციებს არ იცვლის. ჩემთვის ეს იყო საამაყო, ის ჩემი მეგობრის შვილია, გარდა იმისა, რომ დეპუტატი და ლიდერია „ოცნების“, ჩემი თანამებრძოლის — დათო ფაცაციას ოჯახის წევრია. მე ვთვლი, რომ ირაკლი კობახიძე ერთადერთია, რომელიც სრულფასოვან პასუხს სცემს ყველა უღირსობას. თუმცა ღარიბაშვილს ეს დაემართა და არ ვიცი, რა არის ამის მიზეზი.

**— შეიძლება, ღარიბაშვილი ფიქრობს, რას მოუტანს ჩვენისთანა პატარა ქვეყანას ამერიკელ დიპლომატებზე არადიპლომატიურ ტონში საუბარი? თუნდაც მხილების კამპანიის წამოწყება რა შედეგს გამოიღებს — შეიცვლება ელჩი, პოზიციას შეარბილებს, უკრაინულ გზავნილებს გაემიჯნება?**

— საერთოდ, პოლიტიკოსები სიმართლესთან მწყრალად არიან, ამიტომაც არ მიყვარს პოლიტიკაში ყოფნა, არ ვყოფილვარ არც ერთი პარტიის წევრი, მაგრამ შენ რომ ხარ ქვეყნის პირველი ან მეორე პირი და ხალხი შემოგყურებს, ხალხს ხომ სიმართლე აინტერესებს? თავდასხმა ელჩზე კი არა, მეეზოვეზე არ შეიძლება, მაგრამ ქართულ პოლიტიკაში რაც არის სიმართლე, ეს ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს. როდესაც ჩვენ უარი ვთქვით საბჭოთა კავშირზე და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც უარს ვამბობთ რუსეთთან ურთიერთობაზე, ეს იმიტომ, რომ მწარე გამოცდილება გვაქვს საბჭოთა კავშირის დროინდელი. თანამედროვე რუსეთმაც ტერიტორიები წაგვართვა. საბჭოთა კავშირი ჩვენს მიმართ არ იყო თანაბარ პოზიციაში და, როგორც უფროსი ძმა, ზემოდან დაგვყურებდა. ეს იმდენად მიუღებელი იყო ქართველი კაცისთვის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც მათთან არ გვქონდა ისეთი სამეზობლო ურთიერთობა, როგორიც უნდა გვქონოდა მეზობელ ქვეყანასთან. შე დალოცვილო, მეუბნები, პარტნიორი ვარ, შენი მეგობარი ვარო და ამ დროს ზემოდან დამყურებ კი არა, დირექტივებს მაძლევ და თითს მიქნევ, ამდენ ფულს რისთვის გაძლევდი, წადი ახლა და საზარბაზნე ხორცად იქეციო, ეს ინფორმაცია ქართველ ხალხს რომ დაუმალო, არც ერთი პოლიტიკოსისგან გამართლებულად არ მიმაჩნია. შენ შეიძლება ამას გადაყვე კიდეც, შენი კარიერა ამას შეეწიროს, მაგრამ პოლიტიკასა და თანამდებობაზე რომ მიდიხარ, მარტო ძვირადღირებული მანქანა და ავეჯი ხომ არ უნდა გინდოდეს კაბინეტში? იმასაც უნდა ფიქრობდე, ასეთ პირობებს რომ გიქმნის ხალხი, ამ ხალხთან კეთილსინდისიერი იყო. კეთილსინდისიერება სიმართლის თქმას ნიშნავს. რასაც ეს ოთხეული აჟღერებს, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყველაფერი სიმართლეა. თუმცა არის ბევრი რამ, რასაც ისინი არ და ვერ აჟღერებენ. არც ჩვენ გვინდა ომი ამერიკასთან, რუსეთთან, ჩინეთთან, თურქეთთან, მაგრამ არც ის გვინდა, როგორც კოლონიას, ისე გვიყურონ.

**— ჩვენთან საუბრისას ერთხელ აღნიშნეთ, რომ დისიდენტობის წლებში სულ სხვა ამერიკას იცნობდით და ეს ის ამერიკა არ არის, რასაც კელი დეგნანი და საქართველოში მოქმედი არასამთავრობოთა ნაწილი ემსახურება. ამერიკაში დაწყებულმა ე.წ. ქორების და მტრედების ბრძოლამ საქართველოსნაირ ქვეყნებში უფრო დაძაბული სახე ხომ არ მიიღო?**

— ეს ორი ძალა მთელ მსოფლიოშია მოდებული, მათ შორის, რუსეთშიც, ამერიკაშიც, ევროპაშიც, საქართველოშიც. განსხვავება ის არის, რომ ევროპასა და ამერიკაში 90%-ში ეს ლიბერალური ძალა მოვიდა ხელისუფლებაში და უპყრია ხელისუფლება, საქართველოში მათ არ აქვთ ხელისუფლება და არც რუსეთში აქვთ ხელისუფლება. სამაგიეროდ, უკრაინაში აქვთ ხელისუფლება. 2012 წელს საქართველოში ძალაუფლება ამ ძალებმა დაკარგეს. იმისთვის, რომ მსოფლიო ბატონობა შეძლონ, ყველანაირად ცდილობენ, ყველგან იყოს მათი მმართველობა და მორჩილი ხელისუფლება. საქართველოს ხელისუფლება არ არის მათი მორჩილი, თორემ რამეს კი არ უწუნებენ? ხომ არ გგონიათ, ოლიგარქია აწუხებთ? ჯერ ერთი, ოლიგარქია საქართველოში უნდა აწუხებდეს ქართველ ერს და ქართველი ერი უნდა წუწუნებდეს ამაზე, თუკი ვინმე ოლიგარქი ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს პრობლემას უქმნის. ამერიკასა და ევროპაში ვინ შეწუხდა ჩვენი „ოლიგარქიით“? საქართველოში არავინ წუხდება და არავის აქვს ეს მოთხოვნილება. რისი მოთხოვნილებაც გვაქვს, იმაში დაგვეხმარონ და რისი მოთხოვნილებაც საქართველოში კაციშვილს არ გასჩენია, იმაში რატომ გვეხმარებიან?

**„ნაციონალებმა“ ცხრა არჩევნები დამაჯერებლად წააგეს. ამის მიუხედავად, ნებისმიერი გზით უნდათ ხელისუფლებაში მოსვლა. ამ დროს ვერც ხალხს გამოიყვანენ, ვერც პროტესტს ააგორებენ ხელისუფლების შესაცვლელად.**

ესაუბრა
**მანანა ნოზაძე**

**იქ აფასებენ!..**

## დათუნაშვილის ჩემპიონობა სერბეთმა იზეიმა




**დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საერთაშორისო წესების დაცვით, სხვა ქვეყნის სახელით ასპარეზობის შესაძლებლობა ქართველ სპორტსმენებსაც მიეცათ და არაერთ ქვეყანას მოუტანეს საამაყო წარმატება. დასანანია, რომ ზოგიერთი იძულებით ტოვებს სამშობლოს. სწორედ ეს ბედი ეწია ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ზურაბ დათუნაშვილს, რომელსაც ეროვნული ფედერაცია დაუპირისპირდა. ზურაბი სერბეთის სახელით ამ დღეებში ზედიზედ მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, შარშან კი ტოკიოს ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალსაც დაეუფლა. დასანანია, რომ ამ ფალავანს, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეროვნული ფედერაციის მესვეურთა ქედმაღლობამ წაართვა შესაძლებლობა სამშობლოს ეამაყა მისი წარმატებებით. ბელგრადში მსოფლიო პირველობაზე საქართველოს ნაკრები ოქროს გარეშე დარჩა და დათუნაშვილის ჩემპიონობა სერბეთმა იზეიმა.**

საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი და საქართველოს აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანსი „არიერგარდი" ულოცავს ზურაბ დათუნაშვილს ახალ ბრწყინვალე წარმატებას და გმობს იმ მანკიერებას, რამაც თავი იჩინა ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში ლიდერი სპორტსმენებისადმი დამოკიდებულებაში.

**გურამ საღარაძე,**
**მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირის თავმჯდომარე, აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანს „არიერგარდის" თავმჯდომარე.**

**ტატამზე**

## უძლიერესი შემადგენლობით



**საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლაშა გუჯეჯიანმა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შემადგენლობა დაასახელა.**

ჩვენი გუნდი უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში პრაქტიკულად უძლიერესი შემადგენლობით იასპარეზებს. მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვა ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა ბექაურიც. ისიც სათქმელია, რომ საქართველოს 90 და 100 კგ წონით კატეგორიებში ორ-ორი ძიუდოისტი წარმოადგენს.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთია: ლუხუმ ჩხვიმიანი (60 კგ), ვაჟა მარგველაშვილი (66 კგ), ლაშა შავდათუაშვილი (73 კგ), ტატო გრიგალაშვილი (81 კგ), ლუკა მაისურაძე (90 კგ), ლაშა ბექაური (90 კგ), ვარლამ ლიპარტელიანი (100 კგ), ილია სულამანიძე (100 კგ), გურამ თუშიშვილი (+100 კგ).

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი 6-13 ოქტომბერს ტაშკენტში გაიმართება.

**ნდობა**

## გაზრდილი ხელფასით




**ესპანური „ვალენსია" გიორგი მამარდაშვილს კონტრაქტს უახლოეს ხანებში გაუხანგრძლივებს. ამის შესახებ Marca იტყობინება.**

წყაროს თანახმად, „ვალენსიამ" საბოლოოდ მოაგვარა ფინანსური ფეარ პლეის პრობლემა და ყველაფერი მზადაა, ქართველ მეკარესთან ახალ კონტრაქტს ხელი მოეწეროს.

ახალი ხელშეკრულების თანახმად, მამარდაშვილის ხელფასი 10-ჯერ გაიზრდება, გამოსასყიდი თანხა კი 5-ჯერ, 20 მილიონი ევროდან 100 მილიონ ევრომდე. ქართველი „ლოს ჩეს" ღირსებას 2027 წლამდე დაიცავს.

გიორგი მამარდაშვილმა ლა ლიგის მიმდინარე სეზონში ხუთივე მატჩში ითამაშა, 5 გოლი გაუშვა, 16 სეივი შეასრულა და დარტყმების 76.2% მოიგერია, რაც შესანიშნავი მაჩვენებელია.

**ჩემპიონთა ლიგა**

## უცვლელი სცენარით

**მიუნხენის „ბაიერნი" კატალონიური გრანდისთვის ყველაზე უხერხულ მეტოქედ რჩება. მართალია, „ბარსელონამ" რეკორდმაისტერს ლევანდოვსკი წაჰგვარა, მაგრამ ტრადიცია ძალაშია. იულიან ნაგელსმანის გუნდმა, ბუნდესლიგაში შეფერხების მიუხედავად, მიმდინარე სეზონში საკმაოდ მოღონიერებული მრისხანე მეტოქე ალიანს არენაზე სულ მეცხრედ, ხოლო ზედიზედ მეხუთედ დაამარცხა — 2:0, ბურთების შეფარდებით 19:4(!). აღსანიშნავია, რომ ამ გამარჯვებით ბავარიელებმა სტუმრები ჩემპიონთა ლიგაში მოგებული შეხვედრების რაოდენობითაც ჩამოიტოვეს (159:158). მათ მხოლოდ მადრიდის „რეალი" უსწრებთ (174).**



რაც შეეხება თვით მატჩს, პირველ ტაიმში პედრიმ და ლევანდოვსკიმ ბლაუგრანას უპირატესობა გატანილ გოლებში ვერ ასახეს, რაც საკმაოდ ძვირად დაუჯდათ. სხვათა შორის, 0:2-ზე პედრიმ ბურთი ძელს მოარტყა.

მატჩის წინ, პირველად წლეულს, ქომაგები ერთმანეთს მარსელში დაერივნენ და სამართალდამცველებს ვითარების განსამუხტავად ცრემლმდენი გაზის გამოყენება დასჭირდათ, ხოლო უშუალოდ სტადიონებზე განვითარებულ მოვლენებიდან აღსანიშნავია „სპორტინგისა" და განსაკუთრებით „ბრიუგეს" აღზევება, რომლებიც სენსაციურად დაწინაურდნენ საკუთარ ჯგუფებში.

**„ლივერპული" — „აიაქსი" 2:1, „სპორტინგი" — „ტოტენჰემი" 2:0, „ლევერკუზენი" — „ატლეტიკო" 2:0, „პლზენი" — „ინტერი" 0:2, „პორტუ" — „ბრიუგე" 0:4, „მარსელი" — „აინტრახტი" 0:1.**

**ევრობასკეტი**

## ზეიმი გრძელდება

**ხვალ ბერლინში ევრობასკეტის პირველი ნახევარფინალია: ესპანეთი-გერმანია, რომლის გამარჯვებულის გამოცნობა ძალიან ძნელია.**

### ესპანეთი - ფინეთი 100:90

მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონებმა ზედიზედ 21-ედ ითამაშეს მეოთხედფინალი და ასევე ზედიზედ მე-11-ედ მოხვდნენ უძლიერესთა კვარტეტში, მათმა მეტოქემ კი ელიტაში უკვე საკმაოდ შორეული 1967 წლის შემდეგ პირველად გააღწია.




სკანდინაველთა ლიდერი მარკანენი ზუსტად შეხვედრის დღეს კლივლენდიდან იუტაში გადავიდა. წინა მატჩის გმირმა, მართალია, 28 ქულასა და 11 მოხსნას კი მოუყარა თავი, მაგრამ შესვენებამდე საკუთარ სტატისტიკაზე ნაკლებად ზრუნავდა და პარტნიორებს ზუსტი გადაცემებით ამარაგებდა. შედეგად სალინმა, იურტანენმა და კამპანიამ ფავორიტი 15-ქულიან ნოკდაუნში ჩააგდეს და რომანტიკული თამაშით დანიის გასული საუკუნის 80-იანი წლების საფეხბურთო ნაკრები გაგვახსენეს, რომელსაც, სხვათა შორის, სწორედ ესპანეთის გუნდი ულობავდა გზას ტიტულებისკენ.

გარდატეხაში გადამწყვეტი სიტყვა ძმებმა ვილი (27 ქულა) და ხუანჩო (15 ქულა) ერნანგომესებმა თქვეს, საკვანძო ეპიზოდში კი, როცა სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა, ზედიზედ 2 სამქულიანი უბერებელმა ფერნანდესმა ჩააგდო.

### გერმანია - საბერძნეთი 107:96

მას შემდეგ, რაც ტურნირს იოკიჩის სერბეთი გამოეთიშა, ფორუმს მეგავარსკვლავებიდან ანტეტოკუნმპო და დონჩიჩი შემორჩნენ, ამიტომ საფიქრებელი იყო, რომ იანისი ამჯერადაც გაიბრწყინებდა და ელადელებს ბოლო წლებში დაუძლეველ მეოთხედფინალურ წინაღობას გადაალახვინებდა.

მან მართლაც ღირსეული პირადი მონაგრით — 31 ქულით დაასრულა მატჩი, მაგრამ ეს ნავსის გასატეხად საკმარისი არ აღმოჩნდა — იმ საღამოს გუნდს მხოლოდ მასპინძლები ჰგავდნენ, რომლებმაც საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელის — გორდონ ჰერბერტის თავკაცობით სამაგალითო ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნეს და 3-ქულიანებით დაბომბეს სტუმართა კალათი.

ტრადიციისამებრ, გერმანიას შრიოდერმა ულიდერა — 26 ქულა, მას კი ჩინებული ასისტენტობა გაუწიეს ობსტმა (19 ქულა), ვაგნერმა, ფოიგტმანმა, ტაისმა, ტიმანმა და ლომ.

**ფორმულა-1**

## ერთად არ იქნებიან

**„პორშემ" იტალიის დიდი პრიზის დღეებში ოფიციალურად დაადასტურა, რომ ფორმულა 1-ში „რედ ბულთან" პარტნიორობით არ დაბრუნდება. ამასთან, სპორტული ავტომობილების მწარმოებელმა განაცხადა, რომ ფორმულა-1-ში დაბრუნება დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. უბრალოდ, ამისთვის სხვა გზას აირჩევს.**

„პორშეს" სურდა, რომ „რედ ბულისთვის" ძრავების მიწოდების გარდა, გუნდის სრულუფლებიანი თანამფლობელიც (50:50-ზე პროპორციით) გამხდარიყო. სწორედ ეს პირობა არ მოეწონათ „ხარებს", რომლებიც ამჟამად ძრავებს „ჰონდას" ტექნოლოგიებით, იაპონური კომპანიის მიერ გადაცემულ ტექნიკურ ცენტრში, მათივე დახმარებით აწარმოებენ.

როგორც ცნობილია, 2026 წლიდან ფორმულა 1-ში ძრავების ახალი რეგლამენტი ამოქმედდება და სწორედ მაშინ ჩაერთვებიან მსოფლიოს ჩემპიონატში „პორშე" და „აუდი". ორივე კომპანია „ფოლკსვაგენის" ჯგუფში შედის.

„აუდიმ" ახლახანს გამოაცხადა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატში 2026 წელს ჩაერთვება. არაოფიციალური ინფორმაციით, მისი პარტნიორი „ზაუბერი" გახდება, რომლის ბაზაზეც ამჟამად „ალფა რომეო" ასპარეზობს. იტალიურმა კომპანიამ უკვე გამოაცხადა, რომ მომავალი სეზონის შემდეგ შვეიცარიულ საჯინიბოს დაშორდება.



№145-146. პარასკევი-კვირა, 16-18 სექტემბერი, 2022 წელი.



# HOMO PUTINUS

## როგორია „პუტინური ადამიანი“ და რა უნდა მას?

(პირველი გვერდიდან)

პროფესორი ლევ გუდკოვი სწორედ იური ლევადას მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციას, „ლევადა-ცენტრს“ ხელმძღვანელობს, ცენტრს, რომელსაც რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროს მიერ უცხოელი აგენტის სტატუსი აქვს მინიჭებული. ომის მიმდინარეობისა და რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დისკრედიტაციის შესახებ გამკაცრებული კანონმდებლობის გამო, ცენტრის სრულფასოვანი მუშაობა მნიშვნელოვნად არის შეფერხებული, თუმცა პროფესორი გუდკოვი და ცენტრი, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, მაინც რუსეთში რჩებიან და განაგრძობენ მუშაობას.

**„ეს, რა თქმა უნდა, ძირითადად საბჭოთა ადამიანის გაგრძელებაა,** – ამბობს ლევ გუდკოვი **HOMO PUTINUS**-ის შესახებ საუბრისას, – **„თუმცა შეცვლილია მისი კონსტრუქციის ზოგიერთი ელემენტი. პირველ რიგში, გამქრალია ნათელი მომავლის იდეა – ეს ძალიან მნიშვნელოვანია. წინა იდეოლოგია, რომელიც ლეგიტიმაციას აძლევდა ხელისუფლებას, რეჟიმს, ურთიერთობების მთელ სისტემას, გაქრა და ისინი ჩაანაცვლა წარსულის მითებმა“.**

სერგეი მედვედევის ვარაუდით, „ნათელი მომავლის“ იდეოლოგიური კონსტრუქცია ჩაანაცვლა „ნათელი წარსულის“ კიდევ უფრო საშიშმა და ტოქსიკურმა იდეოლოგიამ:

> **„ვეჯახებით იმავე იდეოკრატიას, რომელიც უგრალოდ 180 გრადუსით არის შებრუნებული: მომავლიდან წარსულში. ეს იგივე საბჭოთა კაცია, მაგრამ სარკეში არეკლილი“.**

ლევ გუდკოვი მიიჩნევს, რომ „ნათელი მომავლის“ წარმოსახვაში, იდეოლოგიურ კომპონენტში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ერთი – ძალაუფლებასთან იდენტიფიცირება და მეორე – საკუთარი განსაკუთრებულობის, უპირატესობის განცდა, რაც წარმოადგენს არასრულფასოვნების კომპლექსის, დამცირებულობის ერთგვარ გაუკუღმართებულ ფორმას:



ლევ გუდკოვი

> **„განსაკუთრებულობის განცდა ბევრად უფრო ძველია, ვიდრე საბჭოთა რეჟიმი: ეს ასევე არის მართლმადიდებლური, იმპერიულ-რუსული ცნობიერება. განსაკუთრებულობის განცდა აკომპენსირებს მონურ ცნობიერებას, ბატონყმობის ნარჩენებს. შეიძლება შეიცვალოს ცალკეული კომპონენტები, მაგრამ მთლიანობაში ცნობიერების სტრუქტურა უცვლელი რჩება. რა თქმა უნდა, ჩნდება უფრო პრიმიტიული ტრადიციონალისტური მითები რუსეთის შესახებ. ამასთან მნიშვნელოვანია არა ცალკეული კომპონენტები, არამედ მათი ერთობლიობა, რაც განსაზღვრავს სახელმწიფოსთან საჩვენებელ იდენტიფიკაციას. ვინაიდან ჩვეულებრივი ადამიანი ბრბოდან სახელმწიფოს კუთვნილებაა, ის თვითონაც დემონსტრაციულად თანხმდება, რომ სახელმწიფოს შეუძლია მისი ცხოვრების კონტროლი, რომ მზადაა აიტანოს თავს დამტყდარი განუკითხაობა და ყველაფერზე კვერი დაუკრას მთავრობას“.**

სერგეი მედვედევის თქმით, საბჭოთა კავშირის დაშლიდან 30 წელი არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ ადამიანი გამოყოფოდა სახელმწიფოს. რუსეთში კვლავინდებურად სახელმწიფოსია ადამიანი და ადამიანსაც ე.წ. სახელმწიფოებრივი შეხედულება აქვს საგნებზე, ადამიანის ქცევას სახელმწიფოებრივი აუცილებლობა განაპირობებს და ა.შ. თუმცა, როგორც ლევ გუდკოვი ამბობს, ეს მაინც მოჩვენებითი, მზაკვრული იდენტობაა სახელმწიფოსთან, რადგან ხელისუფლებასთან სოლიდარობის აღიარება ნიშნავს სახელმწიფოს მხრიდან შენს პირად ცხოვრებაზე კონტროლის შესუსტებას.

სერგეი მედვედევის აზრით, **HOMO PUTINUS** თუ ოდნავ სახეცვლილი იგივე საბჭოთა ადამიანია – ინფანტილური, ხაზინის კმაყოფაზე მყოფი, სახელმწიფოზე ორიენტირებული, სახელმწიფოს აუცილებლობით მოქმედი – რატომ აღდგა და აღორძინდა ის ამ 30 წლის განმავლობაში? საინტერესოა, პუტინის რაიმე განსაკუთრებული, ეშმაკური პროექტი იყო ასეთი ადამიანის გაცოცხლება და აღდგენა, თუ ის თავისით აღმოცენდა, როგორც იტყვიან, ცენტრალური რუსეთის მწირ ნიადაგში?

ლევ გუდკოვის თქმით, საბჭოთა ადამიანი აღდგა იმიტომ, რომ აღდგა შესაბამისი ინსტიტუტები:

> **„რუსეთში ადამიანს არ აქვს მყარი ღირებულებები და რწმენა, ის მოქნილია – ცვალებადი. თუ ინსტიტუტები შექმნიან გარკვეულ ველს, მაშინ ის შეიძლება გახდეს უკეთესი, უფრო მორალური და უფრო მეტად მიდრეკილი სამართლებრივი სივრცისკენ, ან როგორც დღეს ხდება, შეიძლება მოექცეს კორუფციისა და გახრწნილობის უძლიერესი ზეგავლენის ქვეშ. უაღრესად მნიშვნელოვანია ძალადობის ყოველდღიური გამოცდილება. რაც რეალურად შეიცვალა პუტინის დროს, ესაა მასობრივი ცინიზმის მნიშვნელოვანი ზრდა. გარკვეული გაგებით, ეს არის რესენტიმენტი, შურისა და შურისძიების რეაქცია საკუთარი თავის მიმართაც. რუსეთში დაიჯერეს, რომ შეეძლოთ ცხოვრება ისე, როგორც ნორმალურ ქვეყნებში ცხოვრობდნენ, მაგრამ ეს არ გამოვიდა. ამ წარუმატებლობის გაცნობიერება წარმოშობს აგრესიულ შურისმგებლურ დამოკიდებულებას, მათ შორის საკუთარი თავის მიმართაც“.**

ლევ გუდკოვის ამ კომენტარიდან გამომდინარეობს, რომ ე.წ. „პუტინური ადამიანი“ საბჭოთა ადამიანის გაუარესებული, დეგრადირებული ასლია: საბჭოთა ადამიანს მინუს კოლექტივიზმი და პლუს წყენა და რესენტიმენტი. სერგეი მედვედევის თქმით, „საბჭოთა ადამიანს“ ამგვარი წყენა არ ჰქონია.

**„ყოველ შემთხვევაში, 1980-იან წლებამდე საბჭოთა ადამიანებში არსებობდა განცდა, რომ უნიკალური ისტორიული ექსპერიმენტი ჰქონდათ, აშენებდნენ რაღაც ნათელ მომავალს. მახსოვს ჩემი თავი, როგორც პიონერი, როგორც ოქტომბრელი 70-იან წლებში: იყო სიამაყე საბჭოთა კავშირშით, რასაც იდეოლოგია ყოველდღიურად კვებავდა... ახლანდელი ადამიანი კი – გამოდის, იგივე საბჭოთა ადამიანია, ოღონდ – დამცირებული და განაწყენებული“,** – ამბობს სერგეი მედვედევი, რომელსაც ლევ გუდკოვი უსწორებს:

**ძალის კულტი, ჯარის კულტი, მკვდრების კულტი...**

> **„არა უბრალოდ განაწყენებული, არამედ ბოროტი და შურისმგებელი და ამ თვალსაზრისით, ერთიანია პუტინის სახელმწიფოსთან. ამ სახელმწიფოს მთავარი შტრიხია ნეგატიური იდენტობა, დასავლეთის წინააღმდეგობა. ჩვეულებრივი, ნორმალური ქვეყნების მსგავსი ცხოვრება – უაღრესად მნიშვნელოვანი მოტივი იყო პერესტროიკის დროს და 1990–იანი წლების პირველ ნახევარში. ყველას სურდა ეცხოვრა ისე, როგორც ცხოვრობდნენ ევროპაში: თავისუფლება, სოციალური უზრუნველყოფა, კეთილდღეობა, სუფთა, ჯანსაღი ქვეყანა. ამის ნარჩენებს დღემდე ვაფიქსირებთ, როდესაც ვიღებთ პასუხს კითხვაზე: რომელ ქვეყანაში ისურვებდით ცხოვრებას – დიდ, ძლიერ ქვეყანაში, რომლისაც ყველას შეეშინდებოდა თუ მყუდრო, კომფორტული, მაღალი კეთილდღეობის მქონე ქვეყანაში? ბოლო წლების განმავლობაში, დაახლოებით 40% ისურვებოდა ცხოვრებას ძლიერ და მძლავრ ქვეყანაში, რომლსაც ყველას შეეშინდებოდა, ხოლო 50% ჯერ კიდევ ფარულად ოცნებობს ნორმალურ ადამიანურ ცხოვრებაზე. ეს აყალიბებს ორმაგ ცნობიერებას და აჩენს სიძულვილს საკუთარი თავის მიმართ წარუმატებლობის გამო.**
>
> **პუტინის რეჟიმი – ეს არის რეაქცია დემოკრატიული, სამართლებრივი საზოგადოების, ნორმალური ქვეყნის წარუმატებელ მშენებლობაზე. აქედან იღებს სათავეს ღვარძლიანობა, აგრესია და დიდებულ წარსულზე აპელაცია, როგორც კომპენსატორულ მითზე“.**

ლევ გუდკოვი თავის ბოლო ნაშრომში („ადაპტაციის სამი ეტაპი“), მიმოიხილავს ომთან საზოგადოებრივი ცნობიერების ადაპტაციის სამ ფაზას. წიგნის ავტორი ფიქრობდა, რომ დროთა განმავლობაში ომი რუსულ საზოგადოებას უფრო მეტად შეარყევდა, ხოლო სანქციები გამოიწვევდა მეტ დაძაბულობას, თუმცა მოულოდნელად გაირკვა, რომ ომის დაწყებიდან ლამის 6 თვის შემდეგაც კი ომის მხარდაჭერა სტაბილურია.

**„იმდენად არ გამკვირვებია, რამდენადაც იმედგაცრუებული დავრჩი, – ამბობს პროფესორი გუდკოვი, – როცა დაიწყო, საზოგადოებას ნამდვილად არ სურდა ომი, მას ნამდვილად ეშინოდა... არაფერ შუაშია მორალური მიზეზები: ეს იყო შიში საკუთარი კეთილდღეობის გამო, შიში იმისა, რომ ომი სწრაფად გავრცელდებოდა რუსეთის ტერიტორიაზე და ჩაითრევდა თავად ომბივატელსაც. ეს შიში ძალიან არსებითი იყო და ვფიქრობდი, რომ ეს იქნებოდა გატარებული პოლიტიკის, ომის შედეგებისა და საკუთარი არსებობის რაციონალიზაციის საფუძველი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის. ჯერ ერთი, ხელისუფლება მოემზადა ამისთვის, შეასუსტა ნეგატიური შესაძლო შედეგები კომპენსაციების დაპირებებით, კიდევ სხვა რაღაცებით და მეორეც, დაარწმუნა ხალხი, რომ ყოველივე ეს არ გავრცელდებოდა რუსეთის ტერიტორიაზე, ნატოს გაფართოებისგან (ეს კი ერთ–ერთი მთავარი საფრთხეა) მათ რუსული არმია დაიცავდა. ამ დემაგოგიით – "სპეციალური ოპერაციით", რომელიც ლოკალურია დროსა და სივრცეში, მოხერხდა ხალხის გარკვეული დამშვიდება. ეს არ არის ომის მთლად მხარდაჭერა, ეს უფრო მორალური, ადამიანური თანაგრძნობისა და ომისადმი წინააღმდეგობის გაწევის სურვილის არქონაა“.**



სერგეი მედვედევი

ლევ გუდკოვის თქმით, პირველ მომენტში ნამდვილად დადასტურდა შოკი, სასოწარკვეთა, დეპრესია – და ამავე დროს თითქმის ასეთივე კმაყოფილება და სიამაყე ჯარის ქმედებების გამო. შემდეგ მოხდა გულგრილობის, ინდიფერენტულობის გაძლიერება, რასაც ხელი შეუწყო სამთავრობო პროპაგანდამ, რომელიც რუსეთის მოქალაქეებს სთავაზობდა დამშვიდებისთვის ხელსაყრელ კლიშეებს, ომის უსიამოვნო გარემოებების ფსიქოლოგიური განდევნის მზა რეცეპტებს...

> **„უცნაურია ის, რომ ეს მოხდა მოსახლეობის იმ ჯგუფებში, რომლებისგანაც განსხვავებულ რეაქციას ველოდი. საუბარია, მეტად უზრუნველყოფილ და განათლებულ ახალგაზრდებზე. სწორედ ისინი გატყდნენ ყველაზე სწრაფად, სწორედ მათ გამოავლინეს ყველაზე მეტი გულგრილობა და ომისადმი შემწყნარებლობა. ეს ნიშნავს, რომ თანაგრძნობის, ადამიანურობის რესურსი ძალიან მცირეა. ესეც საბჭოთა ანთროპოლოგიის ძალიან დიდი პრობლემაა – ეს ძალადობის შედეგია“.**

**პუტინის რეჟიმი – ეს არის რეაქცია დემოკრატიული, სამართლებრივი საზოგადოების, ნორმალური ქვეყნის წარუმატებელ მშენებლობაზე. აქედან იღებს სათავეს ღვარძლიანობა, აგრესია და დიდებულ წარსულზე აპელაცია, როგორც კომპენსატორულ მითზე.**

რუსეთის საზოგადოების დღევანდელ გულგრილობას ბევრი იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული წნეხის გაძლიერებით ხსნის, თუმცა ლევ გუდკოვი შენიშნავს, რომ პუტინის პროპაგანდას ფაქტობრივად ახალი იდეები და წარმოდგენები არ შეუქმნია.

**„საზოგადოებაში არსებობდა შინაგანი აგრესია, რომელიც სხვადასხვანაირად ჩამოყალიბდა. ყველა ის არგუმენტი, რასაც დღეს პროპაგანდა იყენებს, ცნობილია. გაიხსენეთ ფინეთის ომი, 1939-40 წლების ზამთრის ომი, იგივე არგუმენტებია: პრევენციული ომი, საფრთხე პატარა ფინეთიდან დიდი საბჭოთა კავშირისთვის, ამიტომ საჭირო იყო ფინეთის ტერიტორიის ნაწილის ჩამოჭრა... ეს ყველაფერი ძალიან ძველი არგუმენტებია და ისინი ქმნიან გაქვავებულ პოლიტიკურ, სოციალურ კულტურას, რომლის აღზრდა ხდება სკოლაში, ჯარში, პოლიციაში, მედიაში. ეს თვისებები ღრმად არის დასწავლილი მასობრივი ცნობიერების მიერ, აქ ახალი არაფერია, ამიტომ განსაკუთრებული მტკიცებულებები არც არის საჭირო. ის, რაც პუტინმა მოიტანა, არის მასობრივი ცნობიერების მკვეთრი არქაიზაცია, პოლიტიკური თუ სოციალური კულტურის სწორედ იმ ფენების აღზევება, რომლებიც დიდი ხნის წინ, დაახლოებით გვიან სტალინურ და ბრეჟნევის ხანაში ჩამოყალიბდნენ“.**

სერგეი მედვედევის თქმითაც, პუტინი მოიქცა, როგორც კარგი გუთნისდედა, რომელიც ღრმად ჩავიდა და შეეხო საზოგადოებრივი ცნობიერების საკმაოდ ქვედა შრეებს, ამოიტანა მთელი არქაიზმი და ახლებურად ჩამოაყალიბა რუსული ეროვნული იდეა: „ომი“, „რუსეთი – ეს ომია“, „რუსეთს სჭირდება ომი“. პუტინმა ეს იდეა ზედაპირზე ამოიტანა და შემოსა „უკრაინული ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ დღევანდელ ფორმაში.

**„რუსეთი 30 წელი ეძებდა ეროვნულ იდეას და ბოლოს, 2022 წელს, იპოვა!“, – ამბობს სერგეი მედვედევი, თუმცა უნდა ითქვას, რომ „ახალი იდეის“ ძებნის ეს წლები სულაც არ ყოფილა მშვიდობიანი. ლევ გუდკოვის თქმით, პოსტსაბჭოთა რუსეთის არსებობის 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, რუსეთი 23 წელი სულ ვიღაცასთან ომობდა – ორი ომი ჩეჩნეთში, ომი სირიაში, ომი საქართველოსთან, ფარული ომი დონბასში.**

**„არაფერს ვამბობ დასავლეთთან სიტყვიერ ომზე, რომელიც ჩამოყალიბდა მიუნხენის კონფერენციაზე პუტინის გამოსვლაში, 2007 წლის სახელმწიფო დოქტრინაში, – ამბობს ლევ გუდკოვი, – ცნობიერების მზარდი მილიტარიზაცია, როგორც მოსახლეობის იდეოლოგიური დამუშავების ნაწილი, იწყება დაახლოებით 2003–2004 წლებში. ამას დავუმატოთ სპეცსამსახურების ღია და ფარული რეკლამა უსასრულო ტელესერიალებში... სპეცსამსახურების, პოლიტიკური პოლიციის, მთავარი რეპრესიული ინსტიტუტის რეაბილიტაციასთან ერთად, მიმდინარეობდა სტალინის რეაბილიტაცია“.**

**რა ვუწოდოთ იმას, რაც ახლა რუსეთში ხდება? სერგეი მედვედევი იხსენებს ამერიკელი ისტორიკოსის ტიმოთი სნაიდერის მიერ პუტინის რუსეთის აღსაწერად შემოღებულ ტერმინს შიზოფაშიზმს – როდესაც შენ ეძებ ფაშიზმს სხვებში, მაშინ, როცა თვითონ ფაშისტი ხარ.**

ლევ გუდკოვის თქმით, დღევანდელ რუსეთთან მიმართებით, გარკვეული გაგებით, შესაძლებელია ტერმინ „ფაშიზმის“ გამოყენება, რადგან ფაშიზმსა და ამჟამინდელ პუტინიზმს შორის ბევრი მნიშვნელოვანი პარალელების გავლება შეიძლება: **ძალის კულტი, ჯარის კულტი, არქაიკის კულტი, დაბრუნება წარმოსახვით საწყისებთან, მკვდრების კულტი და ა.შ.**

**„რა თქმა უნდა, ყოველივე ეს არის, მაგრამ ბევრად თამამად და ყოყმანის გარეშე შეგვიძლია ვუწოდოთ ამას დაბრუნებული ტოტალიტარიზმი, – ამბობს ლევ გუდკოვი, – „ტოტალიტარიზმი“ უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე „ფაშიზმი“, ეს არის, სახელმწიფო კონტროლის გაფართოება იმ სფეროებზე, რომლებიც ადრე მის კომპეტენციაში არ შედიოდა. ეს არის მასობრივი ცნობიერების ძალადობრივი ტოტალიტარიზაცია“.**

რამდენად შესაძლებელია ამ ყველაფრიდან გამოსვლა? საუბარია ფაქტობრივად, საუკუნოვან სოციალურ წარმოდგენებზე, რომლებიც მექანიკურად არ შეიცვლება.

**„დავუშვათ, ომი დამთავრდა, ეს რეჟიმი წავიდა: რამდენად სწრაფად და რამდენად ძირეულად შეიძლება შეიცვალოს იდეებისა და წარმოდგენების ეს ნაკრები?“** – კითხულობს სერგეი მედვედევი.

**„სწრაფად არ გამოვა. პირველ რიგში, ეს დამოკიდებულია ელიტების მდგომარეობაზე. არ ვგულისხმობ მმართველ ელიტებს, არამედ ინტელექტუალურს, მორალურს. ჩვენ გვჭირდება ისეთი ელიტის გაჩენა, რომელსაც შეუძლია ამ სიტუაციის რაციონალიზაცია, საკუთარი თავისთვის დიაგნოზის დასმა და მტკივნეული წერტილების პოვნა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან წარსულის განჯადოების თუ გამოლოცვის გარეშე ჩვენ ვერ გავიგებთ, რა (როგორი) რეჟიმია ის, რომელშიც ვცხოვრობთ“, – ამბობს ლევ გუდკოვი, რომლის თქმითაც, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და ბევრად უფრო რთული იქნება სოციალური დიფერენციაციის პროცესები თავად საზოგადოებაში:**

**„ჩვენ ჯერ ისევ ვხედავთ საზოგადოების უძლიერეს ცენტრალიზაციას და ყველა განსხვავებულობის წაშლის მცდელობას: ფედერალიზმისას, ადგილობრივი მმართველობისას, ეროვნული თავისებურებებისას და ა.შ.“**

სერგეი მედვედევის თქმით, ომის მდგომარეობიდან ადამიანის გამოყვანა ზოგადად ძალიან რთულია, მაგრამ კიდევ უფრო რთულია ადამიანიდან ომის გამოყვანა და სწორედ ამაშია იმ ტრანსფორმაციის პრობლემაც, რომლის გავლა რუსეთს აუცილებლად მოუწევს.

**ჯიმშერ რეხვიაშვილი,**
**„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი.**

# ხორცის დახლიდან უშიშროების მაღალჩინოსნად მოვლენილი პროვოკატორი

(მეხუთე გვერდიდან)

**ცხადია, რომ კონკრეტული პირის ხორცის დახლიდან სპესამსახურებში გადმოყვანა აჩენს უამრავ კითხვას, მათ შორის იმას, იყო თუ არა ეს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ინტერესში და კერძოდ, იმ ქვეყნის სპეცსამსახურის, რომელსაც მუდმივად აწყობს საქართველოში ქაოსი და დესტაბილიზაცია, რასაც გოგაშვილი წარმატებით ასრულებდა და ასრულებს.**

ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი,** რომელიც წლების განვალობაში სუს-ში მუშაობდა ამბობს, რომ მის პრაქტიკაში მსგავსი ტიპის ჭორიკანა, მეზღაპრე და მდაბიო ადამიანი არ ახსენდება, რომელიც შემთხვევით მოხვდა რეალურ სამყაროში, რასაც სპეცსამსახური ჰქვია და მოახდინა საკუთარი თავის მოდერირება უცხო გარემოში. დაიწყო საკუთარ თავთან მიმართებაში ილუზორული, არარსებული პარალელური სამყაროს შექმნა.

**„ამ მოდელირებაში რაღაცა ისეთი ისტორიები შექმნა, რომლითაც დღეს ძალიან ვხალისობთ. ძალიან დაბალია მისი განათლება. სპეციალური კურსებიც არ გაუვლია. რაც შეეხება თქვენს კითხვას, რომელიც აბსოლუტურად ლეგიტიმურია, პასუხს იძლევა ქვეშეკითხვა - ვის ინტერესებში შედის ის ყველაფერი, რასაც ეს ადამიანი აკეთებს? მე კიდევ ვამბობ, არა თუ საქართველოს სპეცსამსახურების ისტორიაში, არამედ მსოფლიო სპეცსამსახურების ისტორიაში არ მომხდარა ის, რასაც ეს ხორცის გამყიდველი აკეთებს. ეს არის ნონსენსი“,** – ამბობს ქართველიშვილი.

მისი თქმით, სპეცსამსახურების სპეციფიკა დაკავშირებულია ისეთი ტიპის ღონისძიებების და ოპერაციების გატარებასთან, რომელიც შეიძლება ჩვეულებრივ საჯარო სამსახურის, საზოგადოებრივი წარმოდგენებში ძნელად შედიოდეს, რადგან ეს არის აბსოლუტურად სხვა სამყარო თავისი დაწერილი და დაუწერელი კანონებით.

**„იქ შესვლამდე საგულდაგულო ხდება ადამიანის შესწავლა. მისი წარსულის, ნათესავების, სააახლობლო წრის, მისი თუნდაც გენეტიკური გადახრები, ენაზე კბილის დაჭერა თუ შეუძლია და ა.შ. იმიტომ რომ, ომის დროს ეს ადამიანი ტყვედაც არ უნდა ვარდებოდეს, მაგრამ თუ ჩავარდა, ის უნდა მოკვდეს სამშობლოსათვის და სამარეში ჩაიტანოს ყველა ინფორმაცია. ეს სამარცხვინო ადამიანი რასაც სჩადის, ეს არის პრეცედენტი, ეს არის ნონსენსი და გამომდინარე იქიდან, ვის ინტერესებში შედის ეს ყველაფერი, მთელი ეს მეზღაპრეობა, აი, აქიდან გამომდინარე უნდა გავცეთ პასუხი თქვენს ძალიან ლეგიტიმურ შეკითხვას – ეს შედის საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებში, თუ პირიქით, აზიანებს? რამდენია ის საერთაშორისო სუბიექტი, ვის ინტერესებში შედის დასუსტებული საქართველოს სახელმწიფო, ან ზოგადად, ვის ინტერესებში შედის ამ სახელმწიფოებრიობის, მისი სუვერენიტეტის და დამოუკიდებლობის საერთოდ გაქრობა დედამიწიდან? ასეთი საერთაშორისო სუბიექტი არის ძალიან ცოტა და ძირითადი არის ის, ვისი ოკუპაციის ქვეშ ვიმყოფებით და რომლის მადა საქართველოსთან მიმართებაში უკრაინის კონფლიქტის ფონზე შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ გაიზარდოს“,** – აღნიშნა **დავით ქართველიშვილმა.**

სუს-ის ყოფილი მაღალჩინოსანი, ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში, **დავით კუხალაშვილი** ამბობს, რომ დღეს გოგაშვილს შეუძლია აბსოლუტურად ყველაფერი თქვას, იქიდან გამომდინარე, რომ სამსახურში მიღებიდან და დასრულებამდე არასოდეს არ ყოფილა პროფესიონალი. მისი თქმით, არსებობს გარკვეული პროფესიული ეთიკა, რომელიც ყოველთვის ავალდებულებს სპეცსამსახურის თანამშრომელს, რომ ოპერატიულად მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც ამავე დროს საიდუმლოა, არ გაამჟღავნოს.

**„რაც არ უნდა ილაპარაკოს გოგაშვილმა, მე ამას სერიოზულად არ აღვიქვამ. თუ სერიოზულად ჩავთვლით მის ინფორმაციებს, მე ვფიქრობ, ერთ ვერსიას აქვს არსებობის უფლება, იგი ხომ არ იყო ამ პროცესების ერთ-ერთი ორგანიზატორი და მონაწილე? მე მაინც ვფიქრობ, საზოგადოებამ არ უნდა აღიქვას ეს ყველაფერი სერიოზულად.**

**რეალურად თუ დავაკვირდებით გოგაშვილის მიერ გაჟღერებული ინფორმაციების ქრონოლოგიას, მოვლენებისა და ფაქტების ერთობლიობას, იგი ეწევა დეზინფორმაციულ კამპანიას, რომლის მიზანია თავიდან ბოლომდე კომპრომეტირებული იქნას სპეცსამსახური, დემორალიზებული იყოს სპეცსამსახურის თანამშრომლები და სამსახურმა ვერ შეასრულოს თავისი უპირველესი მოვალეობა – უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების წინააღმდეგ ბრძოლა“,** – აცხადებს კუხალაშვილი.

შესაბამისად, ექსპერტი თვლის, რომ საგამოძიებო ვერსიად განხილული უნდა იქნას ყოფილი სპეცსამსახურის თანამშრომლის უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახურის შესაძლო აგენტ-დეზინფორმატორის საქმიანობის ნიშნები. მისი თქმით, პირველ რიგში, ძალიან საინტერესოა გოგაშვილის ძალოვან სტრუქტურაში მოხვედრა და აქაც შესაძლებელია საქმე გვქონდეს სადაზვერვო შეჩეჩებასთან.

**„ხელსაყრელი პირობების შექმნა, ჯერ პარტიულ ნომენკლატურაში, შემდეგ სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვის კუთხით, სპეცსამსახურის უმაღლეს იერარქიაზე მოხვედრის თვალსაზრისით, პოლიტიკური დაზვერვის კუთხით მნიშვნელოვანი ოპერაციული ციკლის შემადგენელი მნიშვნელოვანი ნაწილია. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ სადაზვერვო სამსახურის მნიშვნელოვან სამიზნეს სახელმწიფოს საიდუმლოებაზე წვდომა წარმოადგენს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური კი არის ადგილი, სადაც ყველაზე დიდი საიდუმლოება ინახება და, სადაც ერთი დოკუმენტის დაკარგვამაც და ერთი ინფორმაციის გაჟონვამ შეიძლება სახელმწიფო ჩამოშალოს. არ გამიკვირდება, თუ გამოვლინდება გოგაშვილის სადაზვერვო სამსახურთან კავშირი, რადგან საქართველო, უცხო ქვეყნების სადაზვერვო წნეხის ქვეშ იმყოფება. ამ შემთხვევაში შესაძლებელია იყოს ერთი ან რამდენიმე ქვეყნის ინტერესი, მათ შორის დასაშვებია მყარი დემოკრატიული და სტაბილური არადემოკრატიის მქონე სახელმწიფოთა ალიანსი. ისინი დაინტერესებული არიან დესტაბილიზაციით საქართველოში“,** – განაცხადა **დავით კუხალაშვილმა.**

**თამთა ქარჩავა**

# გაბანკროტებული ბელადი და...

(მესამე გვერდიდან)

**რა შეიცვალა ქვეყანაში ისეთი, რომ ხალხი „ნაციონალურ მოძრაობას“ ახლა მიიღებს? მით უმეტეს უკრაინის ომის ფონზე, ჩვენს მოსახლეობაში მშვიდობის მოთხოვნა პირველ ადგილზე დგას. მათ სჯერათ და ამისთვის ოპოზიციამაც ბევრი შეცდომა დაუშვა, რომ ეს ხელისუფლება ამ მშვიდობის გარანტორია. ახლა საუბარი იმაზე, რომ გოგაშვილი სადღაცას რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომლებთან შეხვედრაზე ილაპარაკებს და ხალხს ოპოზიცია ამ მოტივით ქუჩაში გამოიყვანს, ძალიან ცდებიან. მერე რაო იტყვიან, ეტყობა გომელაურმა რუსებთან რაღაცა დაალაგა და ამით ქვეყანაში მშვიდობის გარანტია მიიღო. ივანიშვილი თუ კრემლთა რაღაცებს ალაგებს, მოსახლეობის დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ამით სიმშვიდის გარანტიას იღებს. ოპოზიცია ამას ვერ ხვდება და ისევ იგივე შეცდომებს უშვებს. ახლა ვართ შევარდნაძის მმართველობის წინა პერიოდის მსგავს სიტუაციაში, როცა ხალხს ეგონა, რომ შევარდნაძის მოსვლით რუსებთან ურთიერთობა დალაგდებოდა. ამიტომ ფუჭია იმედი იმაზე, რომ თუ გოგაშვილი რაღაცა სკანდალურ თემებზე ისაუბრებს, ივანიშვილს რუსებთან ურთიერთობაზე ბრალს დასდებენ და ხალხი ქუჩაში გამოვა“,** – ამბობს ძაბირაძე.



მისივე თქმით, ოპოზიციამ ეს შემდოგომაც ჩააგდო. ამიტომ რაღაცა სასწაული შეცდომა უნდა დაუშვას ხელისუფლებამ, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდეს. მით უმეტეს რეგიონში შექმნილი მძიმე სიტუაციის ფონზე, წარმოუდგენელია, რომ ქვეყანაში რამე მასშტაბური აქციები დაიწყოს.

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფრიძე** ამბობს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ნამდვილად აქვს იმის რესურსი, ქუჩაში ხალხი გამოიყვანოს, მაგრამ რამდენად შეძლებს პერმანენტული აქციების უზრუნველყოფას და შემდეგ ამ საპროტესტო მუხტის რევოლუციურ სცენარში გადაყვანას, რთული სათქმელია. მისი თქმით, საზოგადოების დიდი ნაწილი, რა თქმა უნდა, ევროკავშირში გაწევრიანების მომხრეა, მაგრამ როდესაც საქმე „ნაციონალების“ უკან დაბრუნებაზე დგება, მოსახლეობა მსგავსი აქციებისგან დისტანცირებას ცდილობს. ამიტომაც გასაკვირია, რის ხარჯზე აანონსებს ან ნიკა მელია ან კიდევ ზურაბ ჯაფარიძე „ცხელ შემოდგომას“?

**„ზურაბ ჯაფარიძის განცხადებაზე თაკო ჩარკვიანი გამახსენდა, რომელიც მიხეილ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნებისას 100 ათასამდე კაცის აეროპორტში დახვედრას აპირებდა. შესაძლოა ჯაფარიძეს ჰყავს ბევრი გამომწერი სოციალურ ქსელში, მაგრამ ვერ ვხედავ იდეას ან ქვეყანაში მსგავს პოლიტიკურ პროცესებს, რომ ხალხის ქუჩაში გამოყვანა შეძლონ. როგორც ინფორმაცია მაქვს, ენმ რეგიონებში დადის და ხალხს ხვდება, რაღაცა ნაწილის ქუჩაში გამოყვანას ალბათ შეძლებენ, მაგრამ ეს იქნება მორიგი აქცია, რომელიც ისევე დაიშლება როგორც აქამდე დაშლილა. თუმცა თავად „ნაციონალურ მოძრაობაშიც“ კი მელიას განცხადებას და რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნამ გარკვეული გაურკვევლობა გამოიწვია. ამ მოთხოვნას პარტიის ხელმძღვანელობის და წევრების მხოლოდ ნაწილი დაეთანხმა. ამიტომ შთაბეჭდილება მრჩება, რომ მელიას ინიციატივას არა თუ ოპოზიციაში, არამედ საკუთარ პარტიაშიც კი მხარს არ უჭერენ.**

**შესაძლოა სპეციალურად იქმნება შთაბეჭდილება თითქოს პოლიტიკურად არ არის აქტიური სიტუაცია, მაგრამ არავინ იცის მოულოდნელად რა შეიძლება მოხდეს. ოპოზიციას ახლა ხელთ არა აქვს ისეთი თემა, რომ ამაზე ხალხის ქუჩაში გამოყვანა შეძლოს. თემის აგორებას ომის ირგვლივაც ვერ შეძლებენ, რადგანაც ყველა სოციალური კვლევების მიხედვით, მოსახლეობის დიდი ნაწილი ომის წინააღმდეგია. თავად „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველშიც კი ამ იდეას მხარდაჭერა არა აქვს“,** – ამბობს ანაჯაფარიძე.

**ლიკა ბერიკაშვილი**

# სატენდერო მოწვევა

საქართველო

**შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (SRAMP)**

სესხის No.: IBRD 8599 -GE

კონტრაქტის დასახელება: შიდასახლემწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-2) საჯავახო - ჩოხატაური - ოზურგეთი - ქობულეთის საავტომობილო გზის კმ70+000 - კმ72+400 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები

**სატენდერო მოწვევა:** SRAMP/CW/NCB-16

1. საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტისთვის (SRAMP).** აღნიშნული პროექტიდან გარკვეული თანხა გამოყენებული იქნება კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების ასანაზღაურებლად. კონტრაქტის დასახელებაა: **შიდასახლემწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-2) საჯავახო - ჩოხატაური - ოზურგეთი - ქობულეთის საავტომობილო გზის კმ70+000 - კმ72+400 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები.**

2. პროექტის განმახორციელებელი უწყება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ქვემდებარეობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად. სამუშაოების განხორციელების პერიოდია**: 4 თვე.**

3. სამუშაოების სავარაუდო ღირებულებაა **3,954,976.51 ლარი** ყველა გადასახადის, ბაჟის და სახელმწიფო მოსაკრებლის ჩათვლით ITB - 14.7 ქვეთავის შესაბამისად. შეთავაზების ავტორმა უნდა წარმოადგინოს შეთავაზება არსებული საბაზრო ფასების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს შემოთავაზებული სამუშაოების ფასწარმოქმნაზე.

4. პრეტენდენტები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიარონ საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად:

ა. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (2019, 2020, 2021) საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა მინიმუმ **4,000,000.00 ლარის** ოდენობით, რომელიც დაითვლება მიმდინარე ან/და დასრულებული კონტრაქტებიდან მიღებული დადასტურებული გადახდებისაგან, გაყოფილი 3-ზე;

ბ. პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების (გარდა ავანსის თანხისა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს კონტრაქტის ფარგლებში) ხელმისაწვდომობის დასტური მინიმუმ **3,000,000.00 ლარის** ოდენობით;

გ. ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს **2017 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე პერიოდში** მინიმუმ ერთ (1) კონტრაქტს, ღირებულებით არანაკლებ **3,200,000.00 ლარი** ან ორ (2) კონტრაქტს, თითოეული ღირებულებით არანაკლებ **1,600,000.00** ლარი, რომლებიც წარმატებით განხორციელდა და არსებითად დასრულებულია (სამუშაოების 80% ან მეტი დასრულებულია) და წინამდებარე სატენდერო მოწვევით გათვალისწინებული სამუშაოების მსგავსია;

დ. დმინიმალური გამოცდილება შემდეგ ძირითად აქტივობებში:

- 2017 წლის 1 იანვრიდან განცხადების მიღების თარიღამდე რომელიმე ერთ წელს არანაკლებ **8,700 $მ^2$** ასფალტის საფარის სამუშაოები.

5. სატენდერო დოკუმენტების სრული პაკეტის ინგლისურ ენაზე ელექტრონული ფორმატით ჩამოტვირთვა შესაძლებელია უფასოდ.

6. სატენდერო წინადადებები უნდა აიტვირთოს ელექტრონულად, ინსტრუქციის 22.1 პუნქტის შესაბამისად. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა მითითებულია შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში. სახელმწიფო შესყიდვებით გათვალისწინებული პროცედურები არ ვრცელდება აღნიშნულ შესყიდვაზე.

7. ტენდერში მონაწილეებმა სატენდერო წინადადების ფასი უნდა მიუთითონ ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში. სატენდერო წინადადების ფასის არ მითითება ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში გამოიწვევს სატენდერო წინადადების დისკვალიფიკაციას.

8. სატენდერო წინადადებების წარმოდგენა და ტენდერის გახსნა მოხდება საქართველოს სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვის სისტემის გამოყენებით, რომელშიც გარკვეული ცლილებები იქნა შეტანილი. საქართველოს სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვის სისტემაში შეტანილი ძირითადი ცლილებებია:

ა) ელექტრონული სარეზერვო აუქციონის 3 რაუნდი აღარ გამოიყენება. რაუნდები აღნიშნული შესყიდვისთვის არ გამოიყენება;

ბ) კონტრაქტის სავარაუდო ღირებულება ცხადდება ელექტრონული შესყიდვების სისტემაში, რაც ტენდერის მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას თავად წარმოადგინონ სატენდერო ფასი, რომელიც შესაძლებელია იყოს სავარაუდო ღირებულებაზე მაღალი ან დაბალი, შეესაბამებოდეს ადგილობრივი საბაზრო ფასებს და, აგრეთვე, გათვალისწინებული იყოს ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელთაც შეიძლება გავლენა იქონიონ შემოთავაზებული სამუშაოების ღირებულების განსაზღვრაზე;

9. სამუშაოების შესყიდვა ჩატარდება ეროვნული ტენდერის (NCB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში - „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ საქონლის, სამუშაოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (I დ ) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების პირობებით (2011 წლის იანვარი, განახლებული 2014 წლის ივლისში)" და ხელმისაწვდომია ყველა უფლებამოსილი პრეტენდენტისთვის როგორც ეს განსაზღვრულია შესყიდვების სახელმძღვანელოთი. დამატებით, გთხოვთ იხელმძღვანელოთ 1.6 და 1.7 პუნქტებით, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიო ბანკის პოლიტიკას ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ინფორმაციის დასაზუსტებლად შეკითხვები უნდა აიტვირთოს შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში. ყველა შეკითხვის პასუხი ასევე აიტვირთება შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში;

10. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია ძალაში უნდა იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გასვლის დღიდან 28 დღის განმავლობაში. ერთობლივი საწარმოს მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტი ყურადღებით უნდა გაეცნოს ინსტრუქციის 19.8 პუნქტს, რადგან ხსენებულ პუნქტთან შეუსაბამობა შესაძლოა სატენდერო წინადადების უარყოფის საფუძველი გახდეს.

11. დამკვეთის მისამართი:

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი:

საერთაშორისო შესყიდვების სამსახური, მე-4 სართული,

ალ. ყაზბეგის გამზირი 12, 0160 თბილისი, საქართველო

ტელეფონი: + (995 322) 37-05-08

ფაქსი: + (995 322) 31-30-34

ელ-ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# INVITATION FOR BIDS

**Georgia**

**Secondary Road Asset Management Project (SRAMP)**

**Loan No.: 8599 -GE**

**Contract Title: Rehabilitation of Sajavakho – Chokhatauri – Ozurgeti - Kobuleti Road Section from km 70+000 to km 72+400**

**Reference No.: SRAMP/CW/NCB-16**

1. Georgia has received financing from the World Bank toward the cost of the Secondary Road Asset Management Project (SRAMP), and intends to apply part of the proceeds toward payments under the contract for Procurement of **Rehabilitation of Sajavakho – Chokhatauri – Ozurgeti - Kobuleti Road Section from km 70+000 to km 72+400.**

2. The Project Implementing Agency, the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia, now invites eligible bidders to submit their bids for execution of rehabilitation works. Implementation period for execution of rehabilitation works is **4 (four) months.**

3. The estimated cost of proposed works is **GEL 3,954,976.51** including all taxes, duties and other governmental levies as elaborated under clause ITB - 14.7. However, it is the responsibility of the bidder to submit a bid price, which could be below or above the estimated cost, based on the current market prices and any other factors, which may influence the pricing of the proposed works.

4. Bidders shall meet the following minimum qualifying criteria to qualify for award of the contract:

a. Minimum average annual construction turnover of **GEL 4,000,000.00** calculated as total certified payments received for contracts in progress and/or completed within **the last 3 years (2019, 2020, 2021), divided by 3;**

b. Access to, or availability of, financial resources such as liquid assets, unencumbered real assets, lines of credit, and other financial means, other than any contractual advance payments to meet the following cash-flow requirement: **GEL 3,000,000;**

c. Participation as a JV member, contractor, management contractor, or subcontractor, in at least one (1) similar contract with a minimum value of **GEL 3,200,000** or two (2) similar contracts with a minimum value of **GEL 1,600,000** of each contract that have been successfully and substantially completed and that are similar to the proposed Works between 1st January 2017 and bid submission deadline;

d. A minimum construction experience in the following key activity:

**e. Asphalt pavement** - at least **8,700 $m^2$** completed in any consecutive 12 months period between 1st January 2017 and bid submission deadline;

5. A complete set of bidding documentation in English language in electronic format can be downloaded for free.

6. Bids shall be submitted electronically as outlined in ITB 22.1. Late bids will not be accepted. Deadline for electronic bids submission is: as stated in the state E-procurement system. Government procurement procedures SHALL NOT apply for this procurement

7. Bidders shall indicate bid price in electronic field in Georgian E-Government Procurement System, failing to do so, will result in rejection of such bid.

8. Bid submission and bid opening will take place electronically using Georgian E-Government Procurement System with certain modifications. Major modifications to the Georgian E-Procurement System are:

- Functionality of the three rounds of e-Reverse auction is not applied. Rounds will not be applicable.
- The estimated cost of the contract is disclosed in the e-Procurement system and bidders can submit a bid price, which could be below or above the estimated cost, however pricing the bid is the responsibility of the bidder which shall be based on the current market prices and any other factors which may influence the pricing of the proposed works.

9. Bidding will be conducted through the National Competitive Bidding procedures as specified in the World Bank's Guidelines: Procurement of Goods, Works and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers January 2011, revised July 2014 ("Procurement Guidelines"), and is open to all eligible bidders as defined in the Procurement Guidelines. In addition, please refer to paragraphs 1.6 and 1.7 setting forth the World Bank's policy on conflict of interest. Requests for clarification should be submitted through the Georgian E- Government Procurement System.

10. All bids must be accompanied by a Bid-Securing Declaration. Bid-Securing Declaration shall be valid for 28 days beyond the validity of the Bid. For bids submitted by a JV bidder shall carefully read ITB 19.8 as failure to comply with this ITB may be grounds for bid rejection.

11. The Employer's address is:

Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

International Procurement Division, IV Floor

Al. Kazbegi Avenue 12, Tbilisi, 0160 Georgia

Tel: + (995 322) 37-05-08

Fax: + (995 322) 31-30-34

E-mail: info@georoad.ge

Web Site: www.georoad.ge

# სატენდერო მოწვევა

საქართველო

**შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (SRAMP)**

სესხის No.: IBRD 8599 -GE

კონტრაქტის დასახელება: საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის საავტომობილო გზის კმ0+000 - კმ7+200 სარეაბილიტაციო სამუშაოები

**სატენდერო მოწვევა:** SRAMP/CW/NCB-17

1. საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტისთვის (SRAMP).** აღნიშნული პროექტიდან გარკვეული თანხა გამოყენებული იქნება კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების ასანაზღაურებლად. კონტრაქტის დასახელებაა: **საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის საავტომობილო გზის კმ0+000 - კმ7+200 სარეაბილიტაციო სამუშაოები.**

2. პროექტის განმახორციელებელი უწყება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ქვემდებარეობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად. სამუშაოების განხორციელების პერიოდია: **7 თვე.**

3. სამუშაოების სავარაუდო ღირებულებაა **8,320,225.24 ლარი** ყველა გადასახადის, ბაჟის და სახელმწიფო მოსაკრებლის ჩათვლით ITB - 14.7 ქვეთავის შესაბამისად. შეთავაზების ავტორმა უნდა წარმოადგინოს შეთავაზება არსებული საბაზრო ფასების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს შემოთავაზებული სამუშაოების ფასწარმოქმნაზე.

4. პრეტენდენტები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიარონ საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად:

a. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (2019, 2020, 2021) საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა მინიმუმ **8,300,000 ლარის** ოდენობით, რომელიც დაითვლება მიმდინარე ან/და დასრულებული კონტრაქტებიდან მიღებული დადასტურებული გადახდებისაგან, გაყოფილი 3-ზე;

ბ. პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების (გარდა ავანსის თანხისა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს კონტრაქტის ფარგლებში) ხელმისაწვდომობის დასტური მინიმუმ **3,600,000 ლარის** ოდენობით;

c. ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს **2017 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე პერიოდში** მინიმუმ ერთ (1) კონტრაქტს, ღირებულებით არანაკლებ **6,700,000 ლარი** ან ორ (2) კონტრაქტს, თითოეული ღირებულებით არანაკლებ **3,350,000** ლარი, რომლებიც წარმატებით განხორციელდა და არსებითად დასრულებულია (სამუშაოების 80% ან მეტი დასრულებულია) და წინამდებარე სატენდერო მოწვევით გათვალისწინებული სამუშაოების მსგავსია;

d. მინიმალური გამოცდილება შემდეგ ძირითად აქტივობებში:

- 2017 წლის 1 იანვრიდან განცხადების მიღების თარიღამდე რომელიმე ერთ წელს არანაკლებ **22,000 მ²** ასფალტის საფარის სამუშაოები.

5. სატენდერო დოკუმენტების სრული პაკეტის ინგლისურ ენაზე ელექტრონული ფორმატით ჩამოტვირთვა შესაძლებელია უფასოდ.

6. სატენდერო წინადადებები უნდა აიტვირთოს ელექტრონულად, ინსტრუქციის 22.1 პუნქტის შესაბამისად. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა მითითებულია შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში. სახელმწიფო შესყიდვებით გათვალისწინებული პროცედურები არ ვრცელდება აღნიშნულ შესყიდვაზე.

7. ტენდერში მონაწილეებმა სატენდერო წინადადების ფასი უნდა მიუთითონ ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში. სატენდერო წინადადების ფასის არ მითითება ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში გამოიწვევს სატენდერო წინადადების დისკვალიფიკაციას.

8. სატენდერო წინადადებების წარმოდგენა და ტენდერის გახსნა მოხდება საქართველოს სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვის სისტემის გამოყენებით, რომელშიც გარკვეული ცლილებები იქნა შეტანილი. საქართველოს სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვის სისტემაში შეტანილი ძირითადი ცლილებებია:

ა) ელექტრონული სარეზერვო აუქციონის 3 რაუნდი აღარ გამოიყენება. რაუნდები აღნიშნული შესყიდვისთვის არ გამოიყენება;

ბ) კონტრაქტის სავარაუდო ღირებულება ცხადდება ელექტრონული შესყიდვების სისტემაში, რაც ტენდერის მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას თავად წარმოადგინონ სატენდერო ფასი, რომელიც შესაძლებელია იყოს სავარაუდო ღირებულებაზე მაღალი ან დაბალი, შეესაბამებოდეს ადგილობრივი საბაზრო ფასებს და, აგრეთვე, გათვალისწინებული იყოს ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელთაც შეიძლება გავლენა იქონიონ შემოთავაზებული სამუშაოების ღირებულების განსაზღვრაზე;

9. სამუშაოების შესყიდვა ჩატარდება ეროვნული ტენდერის (NCB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში - *„მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ საქონლის, სამუშაოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების პირობებით (2011 წლის იანვარი, განახლებული 2014 წლის ივლისში)"* და ხელმისაწვდომია ყველა უფლებამოსილი პრეტენდენტისთვის როგორც ეს განსაზღვრულია შესყიდვების სახელმძღვანელოთი. დამატებით, გთხოვთ იხელმძღვანელოთ 1.6 და 1.7 პუნქტებით, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიო ბანკის პოლიტიკას ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ინფორმაციის დასაზუსტებლად შეკითხვები უნდა აიტვირთოს შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში. ყველა შეკითხვის პასუხი ასევე აიტვირთება შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში;

10. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია ძალაში უნდა იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გასვლის დღიდან 28 დღის განმავლობაში. ერთობლივი საწარმოს მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტი ყურადღებით უნდა გაეცნოს ინსტრუქციის 19.8 პუნქტს, რადგან ხსენებულ პუნქტთან შეუსაბამობა შესაძლოა სატენდერო წინადადების უარყოფის საფუძველი გახდეს.

11. დამკვეთის მისამართი:

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი:

საერთაშორისო შესყიდვების სამსახური, მე-4 სართული,
ალ. ყაზბეგის გამზირი 12, 0160 თბილისი, საქართველო
ტელეფონი: + (995 322) 37-05-08
ფაქსი: + (995 322) 31-30-34
ელ-ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# INVITATION FOR BIDS

**Georgia**

**Secondary Road Asset Management Project (SRAMP)**

**Loan No.: 8599 -GE**

**Contract Title: Rehabilitation of Sajavakho – Chokhatauri – Ozurgeti - Kobuleti Road Section from km0+000 to km7+200**

**Reference No.: SRAMP/CW/NCB-17**

1. Georgia has received financing from the World Bank toward the cost of the Secondary Road Asset Management Project (SRAMP), and intends to apply part of the proceeds toward payments under the contract for Procurement of **Rehabilitation of Sajavakho – Chokhatauri – Ozurgeti - Kobuleti Road Section from km0+000 to km7+200.**

2. The Project Implementing Agency, the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia, now invites eligible bidders to submit their bids for execution of rehabilitation works. Implementation period for execution of rehabilitation works is **7 (seven) months.**

3. The estimated cost of proposed works is **GEL 8,320,225.24** including all taxes, duties and other governmental levies as elaborated under clause ITB - 14.7. However, it is the responsibility of the bidder to submit a bid price, which could be below or above the estimated cost, based on the current market prices and any other factors, which may influence the pricing of the proposed works.

4. Bidders shall meet the following minimum qualifying criteria to qualify for award of the contract:

a. Minimum average annual construction turnover of **GEL 8,300,000** calculated as total certified payments received for contracts in progress and/or completed within **the last 3 years (2019, 2020, 2021), divided by 3;**

b. Access to, or availability of, financial resources such as liquid assets, unencumbered real assets, lines of credit, and other financial means, other than any contractual advance payments to meet the following cash-flow requirement: **GEL 3,600,000;**

c. Participation as a JV member, contractor, management contractor, or subcontractor, in at least one (1) similar contract with a minimum value of **GEL 6,700,000** or two (2) similar contracts with a minimum value of **GEL 3,350,000** of each contract that have been successfully and substantially completed and that are similar to the proposed Works between 1st January 2017 and bid submission deadline;

d. A minimum construction experience in the following key activity:

**e. Asphalt pavement** - at least **22,000 m²** completed in any consecutive 12 months period between 1st January 2017 and bid submission deadline;

5. A complete set of bidding documentation in English language in electronic format can be downloaded for free.

6. Bids shall be submitted electronically as outlined in ITB 22.1. Late bids will not be accepted. Deadline for electronic bids submission is: as stated in the state E-procurement system. Government procurement procedures SHALL NOT apply for this procurement

7. Bidders shall indicate bid price in electronic field in Georgian E-Government Procurement System, failing to do so, will result in rejection of such bid.

8. Bid submission and bid opening will take place electronically using Georgian E-Government Procurement System with certain modifications. Major modifications to the Georgian E-Procurement System are:

- Functionality of the three rounds of e-Reverse auction is not applied. Rounds will not be applicable.
- The estimated cost of the contract is disclosed in the e-Procurement system and bidders can submit a bid price, which could be below or above the estimated cost, however pricing the bid is the responsibility of the bidder which shall be based on the current market prices and any other factors which may influence the pricing of the proposed works.

9. Bidding will be conducted through the National Competitive Bidding procedures as specified in the World Bank's *Guidelines: Procurement of Goods, Works and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers* January 2011, revised July 2014 ("Procurement Guidelines"), and is open to all eligible bidders as defined in the Procurement Guidelines. In addition, please refer to paragraphs 1.6 and 1.7 setting forth the World Bank's policy on conflict of interest. Requests for clarification should be submitted through the Georgian E- Government Procurement System.

10. All bids must be accompanied by a Bid-Securing Declaration. Bid-Securing Declaration shall be valid for 28 days beyond the validity of the Bid. For bids submitted by a JV bidder shall carefully read ITB 19.8 as failure to comply with this ITB may be grounds for bid rejection.

11. The Employer's address is:

Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

International Procurement Division, IV Floor
Al. Kazbegi Avenue 12, Tbilisi, 0160 Georgia
Tel: + (995 322) 37-05-08
Fax: + (995 322) 31-30-34
E-mail: info@georoad.ge
Web Site: www.georoad.ge

# ჩვენი სიმდიდრე – ფერწერული ტილოები ქართველ ხალხს უბრუნდება



**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივითა და ძალისხმევით, 90-იან წლებში საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსთვის დროებით გადაცემული ორი ფერწერული ტილო დიმიტრი შევარდნაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ გალერეას დაუბრუნდა,** – ამის შესახებ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, თეა წულუკიანმა ბრიფინგზე ისაუბრა.

კერძოდ, **კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, საბერძნეთში სპეციალურად ამ მიზნით იმყოფებოდა კულტურის სამინისტროს თანამშრომელი სალომე ბერიკაშვილი, რომელმაც საქართველოს საელჩოსგან ოფიციალურად გადმოიბარა და ეროვნულ გალერეას დაუბრუნდა 1999 წელს საელჩოსთვის გადაცემული ორი ფერწერული ტილო, ესენია: გივი თოიძე – „ძველი თბილისი“ და კოტე ჭანკვეტაძე – „ნატურმორტი“.**

**„აღსანიშნავია, რომ მოცემული ექსპონატების დაბრუნების პროცედურა, 2021 წლამდე, საკუთრივ მუზეუმს არ წამოუწყია.**

**2021 წლის აპრილში, თეა წულუკიანის ინიციატივით, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმიდან და დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეიდან სხვადასხვა დროს (1999-2010 წლები) უცხოეთში ან სხვადასხვა უწყებაში გატანილი ექსპონატების შეგროვება და მათი მუზეუმებში დაბრუნება დაიწყო. შედეგად, 2021 წლის მაისში, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმსა და ეროვნულ გალერეას დაუბრუნდა კულტურის სამინისტროს შენობაში მოძიებული 12 ფერწერული ტილო (ელენე ახვლედიანი, „ფასანაური“; ელენე ახვლედიანი, „ძველი ქუთაისი“; ედმონდ კალანდაძე, „ძველი სასაფლაო – ბაზილიკა“; გურამ (ხიტა) ქუთათელაძე, „ნატურმორტი“; გურამ (ხიტა) ქუთათელაძე, „პეიზაჟი“; ლევან ლაღიძე, „განდევნა“; სერგო ქობულაძე, „რუსთაველი“; სერგო ქობულაძე, „დანტე“; იდა ოცხელი, „ფოთოლცვენა“; რადიშ თორდია, „მოხუცი ქალი შემოდგომის ყვავილებით“; მიხეილ ხვიტია, „შემოდგომა“; თენგიზ ცხონდია, „ძველი თბილისის კუთხე“).**

**ხელოვნების ნიმუშები საქართველოს მუზეუმებს დაუბრუნდა ჩეხეთიდან, რუსეთიდან, ირანიდან. სამწუხაროდ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს შორის 2012 წლის ბოლოდან წარმოებული მიმოწერით დასტურდება, რომ 15 ექსპონატიდან 11 დაკარგულად მიიჩნევა“,** – აღნიშნულია კულტურის სამინისტროს ინფორმაციაში.



# ვინ არ მიიწვიეს დედოფლის დაკრძალვაზე?

**რუსეთი, ბელარუსი და მიანმარი დედოფლის დაკრძალვის ცერემონიაზე არ მიიწვიეს,** – ინფორმაციას „ბიბისი“ ბრიტანეთის მთავრობაში საკუთარ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს. ამასთან, როგორც მედია წერს, ირანის ისლამური რესპუბლიკაც ელჩის დონეზე იქნება წარმოდგენილი. ელისაბედ მეორის დაკრძალვის ცერემონიაზე, 19 სექტემბერს ლონდონში 500-მდე მაღალი რანგის პოლიტიკოსს ელოდებიან. მონარქის დაკრძალვის ცერემონიას მედიაში ბოლო ათწლეულში ბრიტანეთში ყველაზე დიდი დიპლომატიური შეკრება უწოდეს.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ცერემონიაზე მიწვეულ სტუმრებს ურჩევენ, არ ისარგებლონ კერძო სატრანსპორტო საშუალებით და მათი გადაადგილებისთვის სპეციალური ავტობუსებია გამოყოფილი. როგორც მედია წერს, უსაფრთხოებიდან გამომდინარე, გამონაკლისი მხოლოდ აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი იქნება.



# ყაზახეთის დედაქალაქი ძველ სახელს დაიბრუნებს

ყაზახეთის პრეზიდენტმა ყასიმ-ჟომართ ტოკაევმა მხარი დაუჭირა ინიციატივას, ქვეყნის დედაქალაქს ნურ-სულთანის ნაცვლად კვლავ ასტანა ეწოდოს. იტყობინება „რადიო სვობოდა“ ყაზახეთის პრეზიდენტის პრესმდივნის, რუსლან ჟელდიბაის განცხადებაზე დაყრდნობით.

**„დეპუტატების წინადადება შეტანილია საკონსტიტუციო ცვლილებების კანონპროექტში. ამასთან, პრეზიდენტი ისტორიულ ფაქტად მიიჩნევს ნურსულთან ნაზარბაევის გადამწყვეტ როლს ყაზახეთის თანამედროვე სახელმწიფოებრიობის განმტკიცებასა და დედაქალაქის ჩამოყალიბებაში“**, – აცხადებს რუსლან ჟელდიბაი.

მან ასევე განმარტა, რომ ნურსულთან ნაზარბაევის სახელთან დაკავშირებული სხვა ტოპონიმები არ შეიცვლება. ყაზახეთის დედაქალაქ ასტანას ნურ-სულთანი 2019 წლის მარტში ეწოდა, მას შემდეგ რაც თავისი ინაუგურაციის დროს ასეთი ინიციატივით ყასიმ-ჟომართ ტოკაევი გამოვიდა.

# ფილმების მოყვარული ძაღლები

**დიდ ბრიტანეთში, 23 წლის გოგოს ინიციატივით, 127 ძაღლს ფილმი აჩვენეს. ეს ახალი მსოფლიო რეკორდია. ძაღლებმა, პატრონებთან ერთად, ფილმი „101 დალმატინელი“ ნახეს.**



ღონისძიების ორგანიზატორი იმედოვნებდა, რომ კინოჩვენებაზე 200 ძაღლის შეკრებას შეძლებდა, თუმცა 127 შინაური ცხოველიც საკმარისი აღმოჩნდა, რომ რეკორდი დამყარებულიყო. ამ დრომდე, რეკორდი ბრაზილიაში დამყარდა 2019 წელს, კინოჩვენებისთვის მოწყობილ სივრცეში 120 ძაღლი შეკრიბეს და „შინაური ცხოველების საიდუმლო ცხოვრება-2“ აყურებინეს.



# ტელეაკადემიის რჩეულები

**ლოს-ანჯელესში Emmy-ის დაჯილდოების 74-ე ცერემონია გაიმართა.**

გამოცემის ინფორმაციით, წლის საუკეთესო დრამატული სერიალის კატეგორიაში შოუმ **„მემკვიდრეებმა“** გაიმარჯვა. კორეული სერიალი **„კალმარის თამაში“** საუკეთესო რეჟისურისთვის დაჯილდოვდა, შოუში მთავარი როლის შემსრულებელი **ლი ჯონ-ჯე** კი პირველი აზიელი მსახიობი გახდა, ვინც ტელეაკადემიის ჯილდო მიიღო დრამატულ სერიალში კაცის საუკეთესო როლის შესრულებისთვის. დრამატულ სერიალში ქალის საუკეთესო როლის შემსრულებლად კი **ზენდაია** დასახელდა. ის პირველი აფროამერიკელი გახდა, ვინც ამ ნომინაციაში გაიმარჯვა.

**„ტედ ლასო“** საუკეთესო კომედიურ სერიალად დასახელდა, შოუში მთავარი როლის შემსრულებელი **ჯეისონ სუდეიკისი** კი კომედიურ სერიალებში საუკეთესო კაც მსახიობად აღიარეს. საუკეთესო მინი-სერიალი **„თეთრი ლოტოსი“** გახდა.

# ავსტრალიაში კენგურუმ ადამიანი მოკლა

**ქალაქ რედმონდში, 77 წლის ავსტრალიელი კაცი სახლში, თავის მიერ გაზრდილმა კენგურუმ მოკლა, „ინფორმაციას BBC ადგილობრივ პოლიციაზე დაყრდნობით ავრცელებს.**



პოლიციის ინფორმაციით, კენგურუ პატრონს თავს დაესხა. გარეულმა ცხოველმა ადგილზე მისულ ექიმებზეც სცადა თავდასხმა. ავსტრალიაში დაახლოებით 50 მილიონი კენგურუ ცხოვრობს, მაგრამ მათი მხრიდან ადამიანებზე თავდასხმები იშვიათია. 1936 წლის შემდეგ, ქვეყანაში ეს პირველი ფატალური შემთხვევაა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 19 სექტემბერს

### უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.8378; ევრო - 2.8872
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3268;
100 რუბლი - 4.6831; თურქული ლირა - 0.1555;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6736;
1000 სომხური დრამი - 7.0069.

### ამინდი 16 სექტემბრისთვის

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +10, | დღე +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +6, | დღე +28 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +12, | დღე +32 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +7 | დღე +29 |
| თბილისი: | ღამე | +14, | დღე +30 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge